



EMC-ის საქმიანობის პროგნოზი



2018 – 2019





- 05 დირექტორთა საბჭო
- 06 შესავალი
- 08 სოციალური პოლიტიკის პროგრამა
- 08 შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
- 10 ცვლილებების საჭიროება შრომის კანონმდებლობაში
- 11 მშრომელთა წინააღმდეგობების აქტები
- 11 სოციალური მუშაკების გაფიცვა
- 11 ჭიათურის გაფიცვა
- 12 ტყიბულის გაფიცვა
- 13 მწვანე პოლიტიკა
- 15 ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრუთის პროტესტი
- 16 სამთო-მოპოვებითი ინდუსტრიები და მათი გავლენა სოციალურ და ეკოლოგიურ გარემოზე
- 18 სათანადო საცხოვრებლის უფლება
- 18 ადვოკატირება საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში
- 19 ანალიტიკური საქმიანობა სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით
- 20 შშმ პირთა უფლებები
- 20 შშმ პირთა უფლებების დაცვის საკითხების აქტუალიზაცია
- 21 ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებების დაცვა
- 22 სტრატეგიული სამართალწარმოება
- 23 მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამა
- 23 ნარკოპოლიტიკის შეჩერებული რეფორმა და მიმდინარე ტენდენციები
- 24 20 ივნისის მოვლენები: ანტისაოკუპაციო აქციის დაშლა და პოლიციის მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენება
- 25 რეფორმები პოლიციაში: საგამოძიებო სისტემა
- 26 პროკურატურის რეფორმა: კონსტიტუციურ ცვლილებებთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესი
- 27 ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფორმირება და ცვლილებები უსაფრთხოების ორგანოების კოორდინაციაში
- 28 მდგომარეობა მართლმსაჯულების სისტემაში: სასამართლო რეფორმის შედეგები
- 30 უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევა: ისტორიული პროცესი და შესაძლებლობა საქართველოს მართლმსაჯულებისთვის
- 32 სოციალური უფლებების ადვოკატირება მართლმსაჯულების პროცესში
- 33 რეფორმის პერსპექტივები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში
- 34 ძალის გადამეტების პრევენცია და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გავლენა სისხლის სამართალწარმოებაზე
- 35 შეწყალება
- 36 სტრატეგიული სამართალწარმოება

სარჩევი



- 37 თანასწორობის პოლიტიკის პროგრამა
- 37 ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა
- 37 კრიზისი პანკისის ხეობაში
- 40 საქართველოს აზერბაიჯანული თემის გამონეგვები
- 43 კრიტიკული პოლიტიკის სკოლები და სოლიდარობის პლატფორმა
- 44 რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული მდგომარეობა
- 47 ლგბტ ადამიანთა უფლებები
- 49 ქვიარ აქტივიზმი
- 50 ლგბტი ადამიანების სოციალური ექსკლუზიისა და მონყვლადობის კვლევა
- 51 ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე უფლებრივი მდგომარეობა
- 52 სტრატეგიული სამართალწარმოება
- 55 ფორუმი „სოციალური სამართლიანობა კრიზისის დროს“
- 57 2019 წელი ციფრებში
- 58 EMC-ს გამოცემები (სექტემბერი, 2018 – დეკემბერი, 2019)
- 61 EMC წევრია შემდეგი კოალიციები
- 62 დონორები, პარტნიორი ორგანიზაციები და მიმდინარე პროექტები

დირექტორთა საბჭო



თამთა მიქელაძე

თანასწორობის პოლიტიკის პროგრამის დირექტორი

თამთა EMC-ის ერთ-ერთი დამფუძნებელია. 2013 წლიდან, EMC-ის დირექტორთა საბჭოს წევრია და ხელმძღვანელობს თანასწორობის პოლიტიკის პროგრამას.

თანასწორობის პოლიტიკის პროგრამის მიზანია სამართლიანი, თანასწორი და ღირსეული უფლებრივი, პოლიტიკური და სოციალური გარემოს შექმნა ჩაგრული ჯგუფებისთვის.



გურამ იმნაძე

მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამის დირექტორი

2019 წელს, EMC-ის დირექტორთა საბჭოს ახალი წევრი გახდა გურამ იმნაძე, რომელიც ხელმძღვანელობს მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამას.

მართლმსაჯულებისა და დემოკრატიის პროგრამის მიზანია ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული, სამართლიანი და მაღალი სოციალური მგრძნობელობის მქონე მართლმსაჯულების სისტემების შექმნის ხელშეწყობა.



კოტე ერისთავი

სოციალური პოლიტიკის პროგრამის დირექტორი

2019 წელს, EMC-ის დირექტორთა საბჭოს წევრი გახდა კოტე ერისთავი, რომელიც ხელმძღვანელობს სოციალური პოლიტიკის პროგრამას.

სოციალური პოლიტიკის პროგრამის მიზანია სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის შექმნის ხელშეწყობა.



ლინა ღვინიაძე

აღმასრულებელი დირექტორი

2019 წლის სექტემბრიდან EMC-ის აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე შემოუერთდა ლინა ღვინიაძე. ლინა EMC-ს ერთ-ერთი დამფუძნებელია. ის დაფუძნებიდან 2018 წლამდე იყო ორგანიზაციის სოციალური პოლიტიკის პროგრამის დირექტორი.

მისი მოვალეობები აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე გულისხმობს ხელმძღვანელობას დირექტორთა საბჭოსი, რომელიც შედგება ორგანიზაციის დირექტორებისგან. საბჭოსთან ერთად ზრუნავს ორგანიზაციის პოზიციონირებაზე, მის ეფექტიან მართვასა და სტრატეგიულ განვითარებაზე.

მიმდინარე წელს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვან პოზიტიურ სიახლეებს წარმოადგენდა „შრომის უსაფრთხოების“ შესახებ ორგანული კანონის მიღება, რომელმაც გააფართოვა სახელმწიფოს მანდატი აკონტროლოს შრომის უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა სამუშაო ადგილებზე. ამასთან, მიმდინარე წელს უკავშირდება დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმის დახვეწისა და სახალხო დამცველის მანდატის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, ასევე, შევიწროვებისა და სექსუალური შევიწროვების რეგლამენტირება. პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა და პოზიტიური რეფორმები სახელმწიფოს ინსპექტორის სამსახურის შექმნისა და შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის გაძლიერების მიმართულებით. დასახელებული პოზიტიური ცვლილებები უმეტესად საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა თუ ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორობის მნიშვნელოვანი ძალისხმევის შედეგს წარმოადგენს, რაც ასუსტებს რეფორმების სათანადო აღსრულების პოლიტიკურ შესაძლებლობას და მათ რეალურ გავლენას ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე. ამასთან, დასახელებული მნიშვნელოვანი სიახლეების მიუხედავად, მიმდინარე წელი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებითი ხასიათის გამოწვევებით ხასიათდებოდა.

მიმდინარე წელს მძიმედ დადგა შეკრების თავისუფლების უხეში ხელყოფისა და პოლიციის მხრიდან შეკრების მონაწილეების მიმართ ძალის გადამეტების საკითხი. 21 ივნისის შეკრების დაშლას ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა და დასჯა მოჰყვა, რასაც არ ახლდა სისტემის მხრიდან დარღვევების სათანადო გამოძიება და სისტემური ხარვეზების აღიარება. ამის საპირისპიროდ მმართველი პოლიტიკური გუნდი საკითხის პოლიტიზებას და ამ გზით საზოგადოებრივი წუხილების გადაფარვას ცდილობდა.

21 ივნისის მოვლენების შემდეგ სოციალურმა პროტესტმა მოახერხა მმართველი პარტიისგან მნიშვნელოვანი პოლიტიკური დაპირების მიღება, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული წესით და ბუნებრივი ბარიერის პირობებით ჩატარების შესაძლებლობას ითვალსწინებდა. ამგვარი საარჩევნო სისტემა არსებული პოლარიზებული

პოლიტიკური ველის გარღვევის, ახალი პოლიტიკური ჯგუფების გამოჩენისა და უფრო სამართლიანი და ინკლუზიური პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა. თუმცა, საშემოდგომო სესიაზე ქართულმა ოცნებამ ეს საჭარო დაპირება არ შეასრულა და კონსტიტუციური კანონპროექტი თითქოსდა პარტიის მაჟორიტარი წევრების წინააღმდეგობის გამო ჩავარდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მმართველი პოლიტიკური გუნდიდან მნიშვნელოვანი წევრების გასვლა და შიდა კრიზისი მოჰყვა. სამოქალაქო ჯგუფებისა და პოლიტიკური პარტიების პროტესტმა კი ქუჩებში გადაინაცვლა. ამ პირობებში ხელისუფლება არ ცდილობს შექმნას პოლიტიკური დიალოგის ფორმატები და მეტწილად რადიკალური პოლიტიკური რიტორიკითა და პოლიციის ძალების გამოყენებით ცდილობს არსებული პოლიტიკური status quo შენარჩუნებას. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პროცესებში პოლიციის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების ნიშნებმა საგანგაშო ნიშნები შეიძინა და შსს-ს სისტემაში დაწყებული რეფორმების სოციალური მნიშვნელობა დააკნინა.

მიმდინარე წელს თვალშისაცემი იყო პროკურატურისა და სასამართლოს პოლიტიზირების ტენდენცია პოლიტიკური ოპონენტების დაუსაბუთებელი დევნა, მედიის შევიწროება და სასამართლო სისტემაში ე.წ. კლანის გავლენების ზრდა რაც სახელმწიფო ინსტიტუტების რყევის და მათი პარტიულ-პოლიტიკური ინტერესებისათვის გამოყენების ნიშნებს აჩენდა.

ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ხელისუფლება სახელმწიფო ობიექტების მასშტაბური პრივატიზების, პესების მასშტაბური პროექტების მშენებლობის და შრომითი მიგრაციის მხარდაჭერით ხედავს, რაც ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის უხეში გაგრძელებაა და მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების რესურსი ჩანასახშივე არ გააჩნია.

მიმდინარე პოლიტიკური კრიზისების ფონზე სულ უფრო რთული გახდა სოციალური რეფორმების და ადამიანების რეალურ საჭიროებებზე, წუხილებზე და ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკური დღის წესრიგის მხარდაჭერა. მზარდი ეკონომიკური უთანასწორობა, ქალაქსა და სოფლებში ცხოვრების ხარისხის შორის ღრმა განსხვავება, განათლების სისტემის უკიდურესად სუსტი და უთანასწორო ბუნება და მზარდი

მიგრაცია მთავრობას რადიკალური სოციალური რეფორმებისკენ უნდა უბიძგებდეს თუმცა, ეს საკითხები პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილიც კი არ არის. სამწუხაროა, რომ მიმდინარე წელს ასევე ვერ მოხერხდა შრომის კოდექსის რეფორმის მიზნით დაგეგმილი მნიშვნელოვანი ცვლილებების ინიცირება.

2019 წელი კრიზისული იყო პანკისის ხეობისთვის. ჰესების მშენებლობის მიზნით მასშტაბური საპოლიციო ღონისძიება 21 აპრილს შსს-მ ხეობაში ისე დაგეგმა, რომ ჰესების თემაზე მიმდინარე პოლიტიკური მოლაპარაკებები არ იყო ამოწურული. თემიდან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფისა და აშკარად არაეფექტიანი გამოძიების შემდეგ ხეობაში დაგროვებული უნდობლობა, 21 აპრილის მოვლენებმა კიდევ უფრო გააღრმავა. ადგილობრივი თემი ჰესების მშენებლობაზე კერძო კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ საპოლიციო რესურსის ჭარბ კონცენტრაციაზე და ინტერვენციაზე უთითებდა, რაც მათივე თქმით, მიმდინარე წლის 27 ნოემბერს თემის წევრებს შორის შეირაღებული დაპირისპირების დასრულდა. ხეობაში დაწყებული უნიკალური დემოკრატიული პროცესების ფონზე სახელმწიფოს ამგვარი გადაწყვეტილებები არსებითად აზიანებს რეგიონის განვითარების შესაძლებლობას და ხეობაში პოლიტიკას კვლავ უსაფრთხოების და დასტის დისკურსში აბრუნებს.

მიმდინარე წელს კვლავ ჩანდა ანტიდემოკრატიული ძალადობრივი ჯგუფების პოლიტიკური აქტიურობა, რომელთა ჰომოფობიურ და სხვა ტიპის ძალადობას სამართალდამცავი სისტემა იწყნარებს და უშვებს. აღ-

ნიშნული ჯგუფების პოლიტიკური საქმიანობა მთლიანობაში ხელისუფლების მიერ მათი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების და მათი გამოყენების ჭარბი დღის წესრიგისა და ხელოვნური კონფლიქტების შექმნის შთაბეჭდილებას ტოვებს.

2019 წელი მძიმე იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის კუთხითაც. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების პოლიტიკაში ჩანს ნორმალიზებასა და ნდობის აღდგენაზე მიმართული რიტორიკა, კონფლიქტის რეგიონებთან მდგომარეობა სულ უფრო იძაბება. 2019 წლის სექტემბრიდან ახალგორთან ე.წ. საზღვრების ჩაკეტვის გამო რეგიონში ჰუმანიტარული კრიზისი მდგომარეობაა შექმნილი და ადგილობრივებს ბაზისურ სამედიცინო და სოციალურ რესურსებზე არ მიუწვდებათ ხელი. ამ ფონზე ცხინვალში სათანადო სამედიცინო დახმარების რესურსის არ არსებობის გამო გარდაიცვალა ერთ ადამიანი. ამავე პერიოდში სამხრეთ ოსეთის de facto ხელისუფლებამ დააკავა ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი, რომელიც ამ დრომდე ცხინვალის ციხეში პატიმრობაში რჩება. ახალგორში საზღვრების ჩაკეტვა სოფელ ჩორჩანაში ქართული პოლიციის გახსნის მცდელობას დაუკავშირდა. ამ თემაზე მიმდინარე მოლაპარაკებები აჩვენებს, რომ კონფლიქტებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს სულ უფრო ჩამოსცილდა პოლიტიკური და სამოქალაქო განზომილება და ის მეტწილად უსაფრთხოების სამსახურებს შორის კომუნიკაციაზე დავიდა.



შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

დასაქმებულების დაშავების და გარდაცვალების შემთხვევების შემამოთხველი მაჩვენებელი მიუთითებს სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფი სახელმწიფო პოლიტიკის ნაკლოვანებაზე და მისი გაძლიერების აუცილებლობაზე. 2011-2018 წლებში საწარმოო შემთხვევების შედეგად დაშავდა 1081, დაიღუპა 376 ადამიანი. 2018 წელს დაღუპულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

საქართველომ 2018 წელს მიიღო კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“¹, რომელმაც შრომითი უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველი შექმნა. საკანონმდებლო ცვლილებებმა მეტად დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვა შრომის უსაფრთხოების გარანტიები. მნიშვნელოვანი იყო შემდგომი ნაბიჯებიც, კერძოდ, კანონისთვის ორგანული კანონის სტატუსის მინიჭება.² ასევე, სექტემბრიდან ამოქმედდა კანონის მნიშვნელოვანი დებულებები, რომლის შედეგადაც უფრო ეფექტიანი უნდა გახდეს შრომის ინსპექციის მუშაობა და

უფრო მეტად უნდა იქნას დაცული შრომის უსაფრთხოების სტანდარტები დასაქმების ადგილზე. გარდა ამისა, მისასალმებელია, რომ 2019 წლის აგვისტოდან მოქმედებს სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის ზედამხედველობის მიზნით ინტეგრირებული მონიტორინგისა და ინსპექტირების ჯგუფები, რომელიც სამშენებლო ობიექტებს თბილისის მასშტაბით ამოწმებს. თუმცა, ამ პირობებში კვლავ ნარჩუნდება არსებითი გამოწვევები, როგორცაა შრომის უსაფრთხოების ცნების ვიწრო გაგება (მასში არ მოიაზრება სამუშაო ადგილზე ფსიქოსოციალური საფრთხეები და რისკები), შრომის ინსპექციის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და გაძლიერების უზრუნველყოფა, ინსპექტორთა შესაბამისი რაოდენობა, სამშენებლო უსაფრთხოების სფეროში თბილისის გარდა სხვა მუნიციპალიტეტების დონეზე სანქციების ადეკვატური მექანიზმის შემუშავების საჭიროება, უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წესებისა და პოლიტიკის განჭვრეტადობა, გამართულობა და სხვა.

საწარმოო შემთხვევები 2011 -2018

საწარმოო შემთხვევების შედეგად დაშავებულ და დაღუპულ ადამიანთა რაოდენობა



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

EMC


1 საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, 2048-III.

2 საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, 4283-III.



EMC ამ პერიოდის განმავლობაში ჩართული იყო შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ირგვლივ მიმდინარე დებატებში, მათ შორის, იყენებდა საკომიტეტო განხილვის ფორმატს; ავრცელებდა **სარეკომენდაციო განცხადებებს**, უზრუნველყოფდა მოქალაქეთა ინფორმირებას მათი უფლებების, შრომის უსაფრთხოების სფეროში ძირითადი ხარვეზების, მათი გადანაცვების შესაძლო გზების შესახებ.

EMC-მ შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობა და პრაქტიკა შეაფასა ასევე საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კრილში. კერძოდ, ევროკავშირთან დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში 2017-2020 წლის დღის წესრიგის ერთ-ერთი ვალდებულებაა, რომ საქართველოს მთავრობამ შექმნას დასაქმებისას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფი გარანტიები და აამოქმედოს სამართალდარღვევებით, ზედამხედველობის ქმედითი სისტემა. ამ მხრივ განხორციელებული ღონისძიებები EMC-ს მიერ **შეფასდა**, როგორც ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება.



აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მაისიდან საქართველოს პარლამენტში შრომის უსაფრთხოების საკითხებზე თემატური მოკვლევის ჯგუფი მუშაობს, რომლის საქმიანობაში სხვა აქტორებთან ერთად EMC აქტიურადაა ჩართული.

შრომის უსაფრთხოების კუთხით სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა საწარმოო შემთხვევების შედეგად გარდაცვალების და ჯანმრთელობის დაზიანების საქმეების გამოძიება. ამ მხრივ EMC-მ წარმოადგინა 2018 წლის 16 ივლისის მინდელის სახელობის შახტაში მომხდარი შემთხვევის გამოძიების შედეგები, სადაც ორგანიზაცია გარდაცვლილი მუშის ოჯახს უწევდა სამართლებრივ დახმარებას. საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების შედეგად გამოიკვეთა სამი მოქალაქის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომლებიც, საბოლოოდ სასამართლომ დამნაშავედ ცნო. თუმცა, საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საქმეში არ დამდგარა არცერთი მენეჯერის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. EMC-ს შეფასებით, სისხლის სამართლის ამ საქმის გამოძიების ფარგლებში ჯეროვნად არ იქნა შესწავლილი და შეფასებული ის საკითხები, რომლებსაც შესაძლოა შახტის მმართველი მენეჯმენტის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრაზე მოეხდინა გავლენა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია სამუშაო უბნის ხელახალი გეოლოგიური შესწავლა და რისკების განალიზება, რამდენადაც ამავე სამუშაო უბანზე 2018 წლის 16 ივლისამდე, 5 აპრილს მოხდა კიდევ ერთი მძიმე საწარმოო შემთხვევა, რომელსაც 6 ადამიანი ემსხვერპლა. ამგვარი ვითარების არსებობისას, ცხადია, შახტის მენეჯმენტს უნდა დაესვა კითხვა და ჩაეტარებინა შესაბამისი კვლევა, საერთოდ იყო თუ არა ნებისმიერი ტიპის სამუშაოების წარმოებისთვის ვარგისი N1 ნახშირმომპოვებელი უბანი.

ამ მიმართულებით მომზადდა:



ინფოგრაფიკა – 2018 წელს საწარმოო შემთხვევების შედეგად დაშავებულთა რაოდენობა გაიზარდა



EMC-ის მოსაზრებები „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე



ანალიტიკური დოკუმენტი – EMC მინდელის სახელობის შახტაში 2018 წლის 16 ივლისის მომხდარი შემთხვევის გამოძიების შედეგებს აფასებს

ცვლილებების საჭიროება შრომის კანონმდებლობაში

არსებითია შრომის კანონმდებლობის იმგვარი ცვლილება, რომელიც გაზრდის დასაქმებულთა უფლებრივ გარანტიებს. საქართველოში მიმდინარე საჯარო დისკუსიებმა, ასევე ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულმა ვალდებულებებმა დღის წესრიგში დააყენა შრომით ურთიერთობებში თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერება. შედეგად, შრომის კოდექსში გაჩნდა და დაზუსტდა დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის შესახებ ჩანაწერი (შევიწროება, სექსუალური შევიწროება, ვიქტიმიზაცია); გაიწერა დამსაქმებლის ვალდებულება, დასაქმებულს მიაწოდოს ინფორმაცია თანაბარი მოპყრობის პრინციპისა და მისი დაცვის საშუალებების შესახებ, ასევე შინაგანაწესში ასახოს ამ პრინციპის უზრუნველყოფი დებულებები; გამოირიცხა დასაქმებულის უფლება, კანდიდატების შესახებ მოიპოვოს განსაზღვრული ხარისხის ინფორმაცია.³

EMC კვლევითი საქმიანობითა და ადვოკატირების გზით მონაწილეობდა საქართველოს შრომის კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესში. რეკომენდაციათა ნაწილი შრომის კოდექსში გათვალისწინებულია, თუმცა დღემდე კრიტიკულად მნიშვნელოვანია, შრომის კანონმდებლობაში აისახოს გონივრულ მისადაგებაზე უარი, როგორც დისკრიმინაციის ფორმა, ასევე შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს ჰქონდეს სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციის მონიტორინგისა და აღმოფხვრის მანდატი.



ნუცა ქაშაკაშვილი – გონივრული მისადაგების სტანდარტზე

ქართულ რეალობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო რეგულირება იმ დასაქმებულების მიმართ, რომლებზეც ვრცელდება შრომის კოდექსი. პრობლემურ მიმართულებებს შორის არის დედისთვის არასათანადო ანაზღაურება, რაც არ უზრუნველყოფს დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ღირსეული ცხოვრების პირობებს; მამებს არ აქვთ ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა. მშობლის შვებულების სფეროში არსებით გამოწვევებთან გამკლავების მიზნით, EMC გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ქართულ წარმომადგენლობასთან ერთად თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში დაიწყო მუშაობა შრომის კანონმდებლობის რეფორმირების მიმართულებით. ამ პროცესებს ჯერჯერობით საპარლამენტო განხილვების ფორმატი არ აქვს. EMC აქტიურად მონაწილეობს საკონსულტაციო შეხვედრებში და იმედს გამოთქვამს, რომ სავარაუდო ცვლილებები უპასუხებს შრომის უფლებების კუთხით საქართველოში არსებულ გამოწვევებს და იქნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროკავშირის სტანდარტებთან თანხვედრაში.

ამ მიმართულებით მომზადდა:



განცხადება – EMC ეხმიანება საქართველოს პარლამენტის მიერ შრომის უსაფრთხოების კანონის მიღებას



ანალიტიკური დოკუმენტი – თანასწორობა და შრომითი ურთიერთობები საქართველოში: საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა



განცხადება – EMC ეხმარება შრომის კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ გავრცელებულ მცდარ ინფორმაციას

³ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, N4279-III; საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, N4549-III

მშრომელთა წინააღმდეგობების აქტები

გასული ერთი წლის განმავლობაში წინააღმდეგობის რამდენიმე მნიშვნელოვან შემთხვევას ჰქონდა ადგილი, რომლებიც ხასიათდებოდა გაფიცულების პრინციპულობით, კონკრეტული მოთხოვნების ეფექტური არტიკულირებითა და სოლიდარობის აქტებით.

სოციალური მუშაკების გაფიცვა

სოციალურმა მუშაკებმა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთან“ კოლექტიური შრომითი დავა 8 თებერვალს დაიწყეს და საკუთარი მოთხოვნები წარადგინეს. EMC სოციალურ მუშაკებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ჩართული იყო მედიაეის პროცესში და აწარმოებდა მოლაპარაკებებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთან“. სამუხაროდ, მედიაეის ფარგლებში შემდგარი არაერთი შეხვედრისა და მითითებულ პრობლემებზე საქართველოს პარლამენტში საკომიტეტო სხდომის ფარგლებში მინისტრის დაბარების მიუხედავად, პროცესი წარუმატებელი აღმოჩნდა.



2019 წლის 25 მარტს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოში“ დასაქმებული ყველა სოციალური მუშაკი, სოციალური მომსახურების სისტემაში არსებული სისტემური ხარვეზების აღმოფხვრის მოთხოვნით გაიფიცა. სოციალური მუშაკების გაფიცვა ისტორიული პროცესი იყო, რომელიც სოციალური მომსახურების სისტემის გაუმჯობესებას, ადამიანის უფლებების და სოციალური დაცვის უფრო სამართლიანი, ქმედითი და ჰუმანური მექანიზმების და პოლიტიკის შექმნას ემსახურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 2 აპრილს სამინისტროსთან მოხდა შეთანხმება სოციალური მუშაკების ბევრი პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. 2019 წლის 8 აპრილს გაფიცვის მონაწილე სოცმუშაკებმა დააარსეს პროფესიული კავშირი – სოციალურ მუშაკთა გაერთიანება, რათა ამ ფორმით გააგრძელონ საკუთარი შრომითი უფლებების დაცვა.

ჭიათურის გაფიცვა



ფოტორეპორტაჟი ჭიათურიდან

2019 წელს წინააღმდეგობის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მაგალითს ჭიათურელთა გაფიცვა წარმოადგენდა. „ჭორჭიან მანგანგში“ ე.წ. „ვახტურ რეჟიმზე“ დასაქმებული მალაროელები 15 მაისს გაიფიცნენ. მათი თავდაპირველი მოთხოვნა საკვების ხარისხის გაუმჯობესება იყო, თუმცა, მალევე მათ სხვა დასაქმებულებიც შეუერთდნენ და გაფიცვის მთავარი მოთხოვნა ხელფასების 50%-იანი მატება, სადამღვეო პაკეტის გაუმჯობესება და ქალაქში მძიმე სატვირთო მანქანების გადაადგილების აკრძალვა გახდა. 15-მა მალაროელმა პროტესტის უკიდურეს ფორმას – შიმშილობას მიმართა, ხოლო სამმა მოშიშმილემ პირი ამოიკერა.

გაფიცვის მე-11 დღეს, 27 მაისს მალაროელებმა მიაღწიეს შეთანხმებას ხელფასის ჯამში 35%-ით მატების, ასევე გაფიცულთა სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე. ჭიათურელ მალაროელთა გაფიცვა უპრეცედენტო იყო იმ მხრივ, რომ მას სოლიდარობა მთელმა ქალაქმა გამოუცხადა, მათ შორის სკოლის მოსწავლეებმა.



ვიდეორეპორტაჟი: გაფიცვა ჭიათურაში

EMC სხვადასხვა ფორმით ჩართული იყო მშრომელთა წინააღმდეგობის პროცესში და მხარს უჭერდა მას, მათ შორის სახელმწიფო ინსტიტუტებთან ადვოკატირების, საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების და მხარდაჭერი განცხადებების გავრცელების გზით.

ტყიბულის გაფიცვა

წინააღმდეგობის მნიშვნელოვანი მაგალითი იყო 24 სექტემბერს კუთვნილი ხელფასის მოთხოვნით **ტყიბულელი მეშახტეების გაფიცვა**. პროტესტის ნიშნად 30-მდე მეშახტე მინდელისა და ძიძიგურის სახელობის შახტებში ჩავიდა და ხელფასის დარიცხვამდე უარი თქვა მათ დატოვებაზე. ტყიბულის შახტებში ქვანახშირის მოპოვება წელიწადზე მეტია გაჩერებულია, ვინაიდან კომპანიამ ვერ უზრუნველყო ტყიბულის შახტების უსაფრთხოება მუშებისათვის.

გაფიცვა, მოლაპარაკებებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩართვის შემდეგ, 26 სექტემბერს შეწყდა. მოლაპარაკებების დასრულებისას გაირკვა, რომ ტყიბულის შახტებს ახალი კომპანია გადაიბარებს და ის აიღებს პასუხისმგებლობას ტყიბულის შახტებში უსაფრთხოების სტანდარტების **დაწერგვაზე**.

ამ მიმართულებით მომზადდა:



განცხადება – EMC სოციალურ მუშაკებს მხარდაჭერას უცხადებს



განცხადება – ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები მთავრობას მოუწოდებენ დროულად და ქმედითად გადაჭრას ჭიათურაში შექმნილი კრიზისი



ფოტორეპორტაჟი – მაღაროელების გაფიცვა ჭიათურაში



ვიდეორეპორტაჟი – გაფიცვა ჭიათურაში



განცხადება – EMC ტყიბულის მეშახტეების პროტესტს ეხმიანება



ფოტო: ლიბერალი, სოფო აფციაური

მწვანე პოლიტიკა

ბოლო წლების განმავლობაში, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით – იქნება ეს ხის ჭრა, ჰაერის დაბინძურება თუ ზოგადად საცხოვრებელი გარემოსთვის საფრთხის შექმნა – ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზებისა და წინააღმდეგობის მნიშვნელოვანი მაგალითები გვხვდება.

სამწუხაროდ, ხშირად, სახელმწიფო, მძიმე შედეგების მიუხედავად, მზადაა, ათწლეულებით გაასხვისოს, ბოლომდე აითვისოს და ეკონომიკურ წარმოებაში მიმართოს ქვეყნის ბუნებრივი რესურსები. ამგვარი პოლიტიკა შეინიშნება სვანეთშიც, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ბუნებრივი რესურსის ათვისება, იქნება ეს ტყის ჭრა თუ ოქროსა და სხვა სახის მადანის მოპოვება. თუმცა განსაკუთრებული ფოკუსი რეგიონის ჰიდრორესურსების ათვისებაზე მოდის. სვანეთში, მხოლოდ მდინარე ენგურის აუზზე, 20-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაა დაგეგმილი.

EMC საქართველოს ენერგეტიკის სექტორში არსებული პრობლემებზე აქტიურად საუბრობს და სახელმწიფოს ამგვარი პოლიტიკის ფონზე, ხელისუფლებას

მოუწოდებს, შეასრულოს ენერგეტიკის სექტორში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

პრობლემები, რომელზეც EMC ყურადღებას ამახვილებს არის: განახლებადი ენერგეტიკის განვითარების სისტემური მიდგომისა და სტრატეგიის არქონა; ჰესების მშენებლობის დაგეგმვის გაუმართავი და გაუმჭვირვალი საკანონმდებლო ნორმები; ჰიდროენერგოსექტორში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით; სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორებისთვის ხანგრძლივი პერიოდით ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შეთავაზება; პროექტების ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობისა და დამოუკიდებელი ექსპერტების არასაკმარისი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; გარემოსდაცვითი/უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტებისა და ნორმების არარსებობა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის უგულებელყოფა და საბჭოთა პერიოდის მოძველებული ნორმებით სარგებლობა; ექსპლუატაციაში შესული ჰესების მიერ მინიმალური სტანდარტების, სანებართვო დოკუმენტაციით განსაზღვრული ვალდებულებების და საკომპენსაციო ღონისძიებების შეუსრულებლობა და ამაზე სახელმწიფოს არასათანადო რეაგირება.



ვიდეო: სვანეთის მოსახლეობა ჰესების წინააღმდეგ



ჰესების მშენებლობის ამგვარი პოლიტიკის წინააღმდეგ სვანი მოსახლეობის ბრძოლის გამოცდილება გამორჩეულია. 2018 წლის მარტში, მესტიაში ლალხორის შეკრებამ, რომელზეც სვანეთის თითქმის ყველა თემის წარმომადგენელი მონაწილეობდა, გამოაცხადა საკუთარი გადანაცვტილება, რომლითაც კატეგორიულად აკრძალა მთელს სვანეთში ჰესების მშენებლობა, ოქროს წარმოება და ბუნებისთვის, ადამიანის საცხოვრისის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისათვის მავნებელი, საშიშრო და დამანგრეველი ყველა ტიპის სამუშაოს ჩატარება. ამავე დროს, ლალხორმა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართა და სვანების მკვიდრ მოსახლეობად აღიარება მოითხოვა, რასაც სვანებისთვის ტრადიციული და სათემო საკუთრების დაკანონება უნდა მოჰყვეს, ხოლო საერთაშორისო კანონმდებლობიდან გამომდინარე, სვანებთან შეთანხმების გარეშე, სვანეთში არცერთი ინფრასტრუქტურული პროექტი აღარ უნდა განხორციელდეს.



შეხვედრა სვანეთის მოსახლეობასთან

EMC EWMI ACCESS-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში რამდენიმეჯერ ესტუმრა ზემო სვანეთის ქვედა ზონის სოფლებს და დაბა მესტიას, მოამზადა **ვიდეორგოლი**, თუ რატომ ეწინააღმდეგება სვანეთის მოსახლეობა ჰესებს, როგორ იბრძვიან ისინი საკუთარი საცხოვრებელი გარემოს შესანარჩუნებლად და რა ფასად უჭდებათ მათ ეს ბრძოლა და გამოაქვეყნდა **ბლოგები**, რომლებიც აღწერენ მოსახლეობის წუხილებს ჰესების მშენებლობების თაობაზე. ორგანიზაციამ მოსახლეობას, ასევე, გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია მათთვის პრობლემურ სამართლებრივ საკითხებზე და აწარმოა/დაგეგმა რამდენიმე სტრატეგიული **საქმე** სასამართლოში.



ფოტო: ნეტგაზეთი

სვანეთში მიმდინარე ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა **კვლევა**, სადაც განხილულია, თუ რა ზეგავლენა აქვს ჰესების მშენებლობას ადგილობრივ მოსახლეობაზე და მათ უფლებებზე, კერძოდ: მათ საკუთრებისა და საჯარო სივრცით სარგებლობის უფლებაზე, გამოხატვის თავისუფლებაზე, საჯარო ინფორმაციის მიღებაზე,

დასაქმების პოლიტიკასა და შრომით უფლებებზე. ასევე, შემუშავდა პოლიტიკის დოკუმენტი ზემო სვანეთის ქვედა ზონის სოფლებში ახალი დაცული ტერიტორიის შექმნის შესაძლებლობის თაობაზე.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრუთის პროტესტი

2019 წლის შემოდგომა ჭიათურის მუნიციპალიტეტში სოფელ შუქრუთის მოსახლეობის პროტესტებით გამოირჩევა. პროტესტის მიზეზი შუქრუთის მძიმე ეკოლოგიური და ინფრასტრუქტურული მდგომარეობაა. კერძოდ, სავალალო მდგომარეობაა მოსახლეობის კუთვნილ სახლებსა და ეზოებში. მოსახლეობის თქმით, „ჭორჭიან მანგანგის“ სამთო-მოპოვებითი სამუშაოების შედეგად, ადგილობრივების სახლები, დამხმარე ნაგებობები და მიწა იბზარება და სოფლის ინფრასტრუქტურა ზიანდება. შუქრუთის მცხოვრებლები პროტესტის ნიშნად შპს „ჭორჭიან მანგანგის“ მფლობელობაში არსებულ, სოფელ შუქრუთში მდებარე მაღაროებთან – კოროხნალთან და შუქრუთთან პერიოდულად აქციებს მართავენ და შესასვლელის ბლოკირების გზით მაღაროების თანამშრომლებს არ აძლევენ მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობას. პროტესტის პირველი ტალღა 2019 წლის სექტემბერში კომპანიასა და შუქრუთის მოსახლეობას შორის შუალედური შეთანხმებით დასრულდა, რომლის თანახმადაც, ექსპერტების, კომპანიის და სოფლის მცხოვრებლების წარმომადგენლებით შექმნილ კომისიას, შესაბამისი კვლევის საფუძველზე, დამდგარი ზიანის და მისი ანაზღაურების წესის შესახებ დასკვნა უნდა შეემუშავებინა. თუმცა, კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. „ჭორჭიან მანგანგი“ კი აცხადებს, რომ სპეციალურმა კომისიამ მოინახულა საცხოვრებელი სახლები და დაადგინა, რომ აღწერილი დაზიანებები უკავშირდება არა კომპანიის მიერ, არამედ საბჭოთა კავშირის დროს წარმოებულ სამუშაოებს. ამის შემდგომ, 2019 წლის 7 ნოემბრიდან სოფლის მოსახლეობის პროტესტი კვლავ განახლდა. მოსახლეობა ითხოვს კომპენსაციას მიყენებული ზიანისათვის, ასევე, კომპანიის მიერ მოპოვებითი სამუშაოების შეწყვეტას ან ალტერნატიული საცხოვრებელი ადგილით დაკმაყოფილებას. ადგილობრივების მიერ მოწოდებული ინფორმაციით 17 ნოემბერს შუქრუთის მოსახლეობასა და კომპანია „ჭორჭიან მანგანგის“ წარმომადგენლებს შორის ისევ შედგა შეთანხმება, რომლის თანახმადაც კომპანიის წარმომადგენლები დათვლიან მოსახლეობისთვის მიყენებულ ზიანს და მისცემენ დაზარალებულებს კომპენსაციას. EMC აღნიშნულ პროცესში ხაზს უსვამს სახელმწიფოს როლის მნიშვნელობას და სთხოვს შესაბამის უწყებებს, მყისიერი რეაგირება მოახდინონ თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში.



ამ მიმართულებით მომზადდა:

-  ვიდეორეპორტაჟი – სვანეთის მოსახლეობა ჰესების წინააღმდეგ
-  ბლოგი – ფიცის სიმტკიცე და მოხეტიალე კონსტიტუცია-ხაიშელები სახელმწიფოს პირისპირ
-  სტატია – მკვიდრი მოსახლეობის სტატუსი – სვანების ბრძოლა საცხოვრებელი გარემოსთვის
-  განცხადება – იდლიანის თემი – სვანეთის ოთხი სოფელი ცენტრალურ გზასთან დამაკავშირებელი ხიდის გარეშე
-  განცხადება – მწვანე ალტერნატივამ და EMC-იმ ნენსკრა ჰესის პროექტზე სასამართლოში დავა დაიწყო
-  განცხადება – EMC-მ მანანა სალიანის საქმე სააპელაციო სასამართლოშიც მოიგო
-  კვლევა – ჰესების მშენებლობა სვანეთში და მისი ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე
-  პოლიტიკური დოკუმენტი – ახალი დაცული ტერიტორია საქართველოში
-  განცხადება – EMC ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრუთის მოსახლეობის მიერ გამართულ აქციას ეხმიანება
-  განცხადება – EMC და „მწვანე ალტერნატივა“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრუთში მიმდინარე პროცესებს აფასებენ

სამთო-მოპოვებითი ინდუსტრიები და მათი გავლენა სოციალურ და ეკოლოგიურ გარემოზე

სამხრეთ კავკასიისა თუ პოსტ-საბჭოთა სივრცე-ებში საქართველო სასარგებლო წიაღისეული ფლობის თვალსაზრისით საგულისხმო ადგილი უჭირავს. რეგიონში ჩვენ მეორე ადგილს ვიკავებთ (ყაზახეთის შემდეგ) მანგანეცის მოპოვების მხრივ. ასევე მნიშვნელოვანი წილი მოდის ქვეყნიდან ექროს მადნის ექსპორტზე⁴. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გამარტივდა და გაიზარდა წიაღის მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიების რაოდენობა და 2015 წლისთვის 810 ლიცენზია შეადგინა⁵. სამთო-მოპოვებითი ინდუსტრიის გაზრდილი მასშტაბებისა და ბრუნვის მიუხედავად, ამ სექტორის წლიური კონტრიბუცია ქვეყნის ეკონომიკაში, მისი პოტენციალის გათვალისწინებით, მაინც უმნიშვნელო რჩება. გარდა ეკონომიკური ფაქტორისა, ასევე მძიმე არსებულ ინდუსტრიულ სექტორებში დასაქმებულთა საშუალო პირობები, ადგილობრივ მცხოვრებთა სოციალური მდგომარეობა და არსებული ეკოლოგიური გარემო. გარდა სოცო-ეკონომიკური ასპექტისა, ასევე მწვავედ დგას ინდუსტრიული წარმოებისა სახელმწიფო რეგულირების თუ მონიტორინგის საკითხი. სუსტი სახელმწიფო პოლიტიკის გამო, მაღალია მრეწველობის ამ სექტორის ბუნებრივ და ეკოლოგიურ გარემოზე მიყენებული ზიანის მოცულობა, რაც აისახება ჰაერისა და წყლის დაბინძურებაზე, ნოყიერი ნიადაგის განადგურებაზე, სამრეწველო ნარჩენების არასწორ მართვაზე და ა.შ.

EMC 2018 წლიდან მუშაობას სამთო-მოპოვებით სექტორის შესწავლისა და ანალიზის მიმართულებით. საქმიანობის მიზანია საქართველოში წარმოდგენილ სამ ძირითად მონო-წარმოების რეგიონში (ტყიბული, ჭიათურა და კაზრეთი) არსებული გამოწვევების და პრობლემების დიაგნოზირება და საკითხის კრიტიკულად დაყენება. იმის გათვალისწინებით, რომ ეს სექტორი და მასთან დაკავშირებული გამოწვევები გამოუკვლევ და დაუმუშავებელ სფეროს წარმოადგენს, მუშაობის მთავარი მიზანი თავდაპირველი ცოდნის დაგროვება, პირველადი მონაცემების მოპოვება და საერთაშორისო დონეზე მიმდინარე დებატებისა თუ მიდგომების გაცნობა იყო. პროექტის განმავლობაში ითარგმნა არაერთი საერთაშორისო ტექსტი, რომელშიც აღწერილი იყო საქართველოს რეალობასთან ახლოს მდგომ ქვეყნებში (იქნებოდა ეს ლათინური ამერიკის თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები) არსებული გამოწვევები და ამ გამოწვევებთან გამკლავების ისტორიული გამოცდილება, როდესაც საქმე ეხებოდა რესურსების ათვისებისა და მისი მართვის სახელმწიფო პოლიტიკას. ამას გარდა, პროექტის განმავლობაში მუშაობა დაიწყო დოკუმენტური ფილმის შექმნაზე, რომლის ფოკუსიც ჭიათურაში მიმდინარე სამთო-მოპოვებითი წარმოების ისტორიის ჩვენება და გლობალურ რუკაზე საქართველოდან ექსპორტირებული მანგანეცის მონიშვნაა, რათა გაიზარდოს საქართველოში მიმდინარე სოციალურ და ეკოლოგიურ საკითხებზე საერთაშორისო ცნობიერება და მასზე გამოხმაურება.



⁴ "Minerals Yearbook - European and Central Eurasia" (U.S. Department of the Interior U.S. Geological Survey, 2014).

⁵ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო



ფოტო: რადიო თავისუფლება

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულმა სამუშაოებმა აჩვენა, რომ არსებობს უფრო სისტემური მუშაობის საჭიროება სამთო-მოპოვებითი სექტორის შეფასების თვალსაზრისით როგორც პოლიტიკის დონეზე, ასევე ეკონომიკური ალტერნატივების თუ გამოსავლის მოძიების მიმართულებითაც. სამომავლო მუშაობის მნიშვნელოვან კომპონენტს უნდა შეადგენდეს ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან მჭიდრო კავშირების გაფორმება, მათი მხარდაჭერა და სამეცნიერო ცოდნაზე დაფუძნებული არგუმენტებით გაძლიერება. დამატებით, მნიშვნელოვანია შეიქმას ბუნებრივი წიაღის მართვის გამჭვირვალე და სამართლიანი პოლიტიკის წარმოება, რომელიც კარგად გამოკვეთს სახელმწიფოს როლს და მის პასუხისმგებლობას როგორც კერძო მწარმოებთან, ასევე ადგილობრივ მცხოვრებლებთან. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხედვებში მნიშვნელოვანია გაჩნდეს მდგრადი და ინკლუზიური განვითარების რეალური მიდგომები, რომელიც კერძო ინტერესს არ დაუპირისპირებს საჯარო კეთილდღეობას, ან ეკონომიკურ ზრდას არ დაუპირისპირებს სოციალ-ეკოლოგიური დაცულობა, არამედ შეძლებს ამ ორს პოლუსს შორის ბალანსის შექმნას და განვითარებისა თუ პროგრესის უფრო სამართლიანი და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარებას.



დისკუსია: ბუნებრივი გარემო სახელმწიფო სამსახურში

ამ მიმართულებით მომზადდა:



თარგმანი – რა არის „სამართლიანი ტრანზიცია“ რაფაელ ჰეფრონი და დარენ მაკკოლი



თარგმანი – მომპოვებლურ/მწარმოებლური დიქტომიის გადააზრება ნეოლიბერალიზმის პირობებში



თარგმანი – ექსტრაქტივიზმი და ნეოექსტრაქტივიზმი: ერთი და იმავე წყველის ორი მხარე



თარგმანი – მედეგი რეგიონები არასტაბილურ სამყაროში – ოცნება თუ რეალობა



ბლოგი – ოქრო და ციანიდი, ბრძოლა სიმდიდრისთვის თუ გადარჩენისთვის?



სტატია – ზიგმუნტ ბაუმანი და პოსტმოდერნის სამყარო



თარგმანი – კუმშვადი ქალაქები: გლობალიზაციის ურბანული გამოწვევები



თარგმანი – ჩამორთმევა დაგროვებით? სამთო მრეწველობა, წყალი და შემოფარგვლის თავისებურება ბოლივიის ალტიპლანოში

სათანადო საცხოვრებლის უფლება

საანგარიშო პერიოდში, სათანადო საცხოვრებლის უფლების გარანტირებისა და უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა. სახელმწიფოს კვლავ არ გააჩნია ამ მიმართულებით ხედვა, რაც, მათ შორის, კანონმდებლობის დახვეწაში, უსახლკარო პირთა რაოდენობის დადგენასა და შესაბამისი სტატისტიკის წარმოებაში, უსახლკარობის მიზეზებისა და ფორმების, ასევე, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წინაშე ამ სფეროში არსებული გამოწვევების კვლევაში, ამ კვლევებზე დაფუძნებით შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღებაში, საცხოვრისის რელევანტური სერვისების შექმნაში, გაფართოებასა ან/და გამრავალფეროვნებაში უნდა გამოხატულიყო.

ადვოკატირება საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში

აქვეყანაში არსებული უმწვავესი პრობლემების ფონზე, ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად უნდა ჩაითვალოს EMC-ის აქტიური ადვოკატირების შედეგად, საქართველოს მთავრობის ღია მმართველობის პარტნიორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში სათანადო საცხოვრებლის უფლების იმპლემენტაციის მიმართულებით სახელმწიფოს ვალდებულებების ასახვა. სამოქმედო გეგმა წარმოადგენს პირველ შემთხვევას, როდესაც ამ სფეროში საქართველოს მთავრობამ კონკრეტული პასუხისმგებლობა აიღო. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა EMC-ის პოზიცია ქვეყანაში არსებულ გამოწვევებთან და მათი გადაჭრის უპირველეს გზებთან დაკავშირებით.

ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების შესაბამისად, 2019 წლის აპრილში შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რომელიც მათ შორის, პასუხისმგებელია საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულების მიხედვით, აღნიშნული დოკუმენტების შემუშავება 2020 წლის დეკემბრამდე, ხოლო, მათი დასამტკიცებლად წარდგენა – 2021 წლის სექტემბრამდე იგეგმება.

EMC ჩართულია უწყებათაშორისი სამთავრობო კომისიის ფარგლებში მოქმედი სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესში, რაც, მათ შორის, სახელმწიფო უწყებებისთვის ორგანიზაციის გამოცდილების გაზიარებაში, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და ადვოკატირებაში გამოიხატება.

საანგარიშო პერიოდში EMC-მ დაიწყო შეხვედრების დაგეგმვა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან, მათ წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ უახლესი ინფორმაციის მიღების მიზნით. პირველი ასეთი შეხვედრა 2019 წლის სექტემბერში გაიმართა **იპოთეკით დაზარალებულ პირებთან**. აღნიშნული ჯგუფის წინაშე არსებული უმწვავესი პრობლემების გაცნობის პარალელურად, EMC-ის წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდეს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულებებზე სათანადო საცხოვრებლის უფლების განხორციელების, ასევე, უსახლკარობის აღმოფხვრის და პრევენციის მიმართულებით, და, მეორე მხრივ, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების მიმდინარე პროცესების შესახებ.




შეხვედრა იპოთეკით დაზარალებულ პირებთან

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კოორდინირებული პროცესის ფარგლებში სათანადო საცხოვრებლის უფლების ადვოკატირების პარალელურად, EMC-მ მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის, კერძოდ, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის მიერ კოორდინირებულ თემატურ მოკვლევაში – „**საქართველოში ადამიანების სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლა**“. ორგანიზაციამ, მის მიერ სხვადასხვა დროს განხორციელებულ კვლევებზე დაყრდნობით, პარლამენტს მიაწოდა ინფორმაცია მოკვლევის ფარგლებში დასმულ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა, უსახლკარო პირის ცნება, საცხოვრისის სერვისების მიმოხილვა, საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის მახასიათებლები, უსახლკარობის მიზეზები, უსახლკარო ჯგუფების წინაშე არსებული გამოწვევები და სხვა.

ანალიტიკური საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში EMC-მ მოამზადა კრებული – „უფლება სათანადო საცხოვრებელზე – ძირითადი გამოწვევების ანალიზი“, რომელიც, თავის მხრივ, სამი დამოუკიდებელი კვლევისგან შედგება. პირველი კვლევა მიმოიხილავს სათანადო საცხოვრებლის უფლების მარეგულირებელ საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებსა და ამ უფლების შინაარსს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში, ასევე, უფლების მიმართებას სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფსა თუ უფლებასთან. მეორე დოკუმენტი აანალიზებს იძულებითი გამოსახლების ცნებასა და პრაქტიკას როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი სტანდარტების ჭრილში და, მათ შორის, მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, იძულებითი გამოსახლების არსი და ფორმები, სახელმწიფოს ვალდებულებები იძულებითი გამოსახლების აღსრულებამდე, მის მიმდინარეობისას თუ შემდგომ, მათ შორის, გამოსახლებული პირების ალტერნატიული საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიმართულებით. მესამე კვლევაში მოცემულია საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზი შშმ პირთა სათანადო საცხოვრებლის უფლების განხორციელებასთან მიმართებით. დოკუმენტში მიმოიხილულია, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულებების არსი შშმ პირთათვის აღნიშნული უფლების გარანტირებისა და უსახლკარობის პრევენციის ნაწილში და, მეორე მხრივ, ეროვნული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო ამ სფეროში, ისევე, როგორც ქვეყანაში არსებული საცხოვრისის სერვისების მიმართება შშმ პირთა საჭიროებებთან.



სხვადასხვა დროს მომზადებულ კვლევებთან თუ სხვა სახის ანალიტიკურ დოკუმენტებთან ერთად EMC სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით ადვოკატირებას სწორედ ზემოაღნიშნული კრებულის მიგნებებზე დაყრდნობით ახორციელებს.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა პოლიტიკის დოკუმენტი – „თბილისის მერიის სოციალური საცხოვრისის პროგრამა სოციალური შინაარსის გარეშე“ – რომელმაც შეაფასა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სათანადო საცხოვრებლის უფლების განხორციელების უზრუნველყოფის პოლიტიკა სოციალური საცხოვრისის პროგრამის მაგალითზე, რომელმაც ფუნქციონირება მუნიციპალიტეტსა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე დაიწყო. სხვადასხვა საკითხებთან ერთად, დოკუმენტმა გააანალიზა სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა სამართლებრივი მდგომარეობა, ისევე, როგორც საცხოვრისის ამჟამინდელ და სამომავლო ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები.



კვლევის პრეზენტაცია – „უფლება სათანადო საცხოვრებელზე – ძირითადი გამოწვევების ანალიზი“

ამ მიმართულებით მომზადდა:

-  განცხადება – EMC ადვოკატირების შედეგად, OGP-ის სამოქმედო გეგმაში, საცხოვრისის პოლიტიკის შესახებ სახელმწიფოს ვალდებულებები გაიწერა
-  შეხვედრა იპოთეკით დაზარალებულებთან
-  კვლევა – უფლება სათანადო საცხოვრებელზე – ძირითადი გამოწვევების ანალიზი
-  ანალიტიკური დოკუმენტი – თბილისის მერიის სოციალური საცხოვრისის პროგრამა სოციალური შინაარსის გარეშე
-  განცხადება – EMC უსახლკაროთა უფლებრივ მდგომარეობას აფასებს

შპმ პირთა უფლებები

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს შპმ პირთა კონვენციის რატიფიცირებიდან 5 წელზე მეტი გავიდა, აღნიშნული ჯგუფის უფლებების დაცვა ვერ გახდა საქართველოს მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება. ამ სფეროში არსებული სახელმწიფო პოლიტიკა წლიდან წლამდე ძირითადად უცვლელი რჩება. მათ შორის, განსაკუთრებულ პრობლემად რჩება ის ფაქტი, რომ დღემდე არ განსაზღვრულა გაეროს კონვენციის იმპლემენტაციისა და კოორდინაციის ორგანოები და არ დანერგილა შპმ პირთა შეფასების სოციალური მოდელი. პრობლემურად რჩება საკანონმდებლო ჩარჩოს რევიზიის, შპმ პირთა სტატისტიკის ჯეროვნად წარმოებისა თუ გაეროს კონვენციის ფაქტობრივი ოქმის რატიფიცირების საკითხი. შპმ პირები კვლავ განგრძობითად ხდებიან სტიგმისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი. ქვეყანაში კვლავ მწვავედ დგას ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხი. ასეულობით ადამიანი კვლავ ინსტიტუციონალიზებულია, დიდი ზომის ფსიქიატრიული დაწესებულებებისა და შპმ პირთა პანსიონატების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის წარმართვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს წლების განმავლობაში. მეორე მხრივ, ფერხდება სამართლებრივი ქმედუნარიანობის რეფორმის წარმატებით იმპლემენტაცია, მთელი რიგი მიზეზების, მათ შორის, რეფორმის შინაარსის შესახებ შპმ პირთა, მათი ოჯახის წევრთა თუ შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა არასათანადო ინფორმირების გათვალისწინებით.

შპმ პირთა უფლებების დაცვის საკითხების

აქტუალიზაცია

საანგარიშო პერიოდში EMC-მ, თავის პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მოამზადა კვლევა, რომელშიც მომხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგის შედეგები. EMC-მ შეაფასა აღნიშნული სამოქმედო გეგმის შინაარსის აქტუალობისა და კონკრეტული მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების შესრულების მდგომარეობა, როგორც შპმ პირთა დაცვის ზოგადი პოლიტიკის, ისე, მთელი რიგი კონკრეტული უფლებების (მათ შორის, დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება, სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლება, უფლება ცხოვრების ადეკვატურ დონეზე, ჯანმრთელობის უფლება და სხვა) მიმართულებით და თითოეულ სფეროსთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიმართ მოამზადა რეკომენდაციები.

საანგარიშო პერიოდში EMC, თავის პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, გამოეხმაურა გაეროს შპმ პირთა უფლებების კომიტეტის მიერ საქართველოს მთავრობის ანგარიშის

წინასასესიო განხილვის ჩანიშვნას და გამოაქვეყნა ორი კოალიციური ჩრდილოვანი ანგარიში. დოკუმენტები 2017 და 2018 წლებში მომზადდა და ჯამში 18 ორგანიზაციის ხელმოწერით წარედგინა გაეროს კომიტეტს. EMC, ჩრდილოვანი ანგარიშების წარმდგენ სხვა ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად იქნება ჩართული კომიტეტის მიერ სახელმწიფო ანგარიშის განხილვის პროცესში და განახორციელებს შპმ პირთა უფლებების დაცვის ადვოკატირებას.

EMC განცხადებების, ბლოგებისა თუ ვიდეოების მეშვეობით ცდილობდა შპმ პირთა სხვადასხვა ჯგუფის წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა თუ აქტუალიზაციას. ორგანიზაცია ასევე აფასებდა სახელმწიფო პოლიტიკასა და შპმ პირთა უფლებრივ მდგომარეობას და მუშაობდა შესაბამის რეკომენდაციებზე.



მარიამ მიქიაშვილი – უსინათლოთა პრობლემები



გიორგი ახმეტელი შპმ პირთა უფლებების შესახებ

ამ მიმართულებით მომზადდა:



კვლევა – ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში



EMC-ის განცხადება შპმ პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით



განცხადება საქართველოში შპმ პირთა დაცვის დღესთან დაკავშირებით



ბლოგი – შეზღუდული შესაძლებლობები, ფოჩიანი კანფერენციები და მოქალაქეობა



ვიდეო – მარიამ მიქიაშვილი – უსინათლოთა პრობლემები



ვიდეო – გიორგი ახმეტელი შპმ პირთა უფლებების შესახებ



განცხადება – გაეროს შპმ პირთა უფლებების კომიტეტი საქართველოს მთავრობის ანგარიშს განიხილავს

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებების დაცვა

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ფოკუსი ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა უფლებების დაცვა და ადვოკატირება გახდა. EMC-მ, თავის პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია) აქტიურად დაიწყო მუშაობა და ადვოკატირება სამართლებრივი ქმედუნარიანობის რეფორმის იმპლემენტაციის საკითხებზე. ღია საზოგადოების ფონდების მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში განხორციელდა არაერთი შეხვედრა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან (სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო, სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, საერთო სასამართლოს მოსამართლეები), ისევე, როგორც შშმ პირთა თემთან და აღნიშნულ თემაზე მომუშავე ორგანიზაციებთან. შეხვედრები მიზნად ისახავდა სამართლებრივი ქმედუნარიანობის რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, ასევე, შესაბამისი აქტორების ინფორმირებულობის გაზრდას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.



შეხვედრა საერთაშორისო ექსპერტთან და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან

ამასთან, EMC მუშაობდა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა წინაშე არსებული გამოწვევების ხილვადობის გაზრდისა და საზოგადოების სტიგმის დაძლევის მიმართულებით. EMC-ის კოორდინაციით მომზადდა რამდენიმე ბლოგი და ვიდეო, რომელიც, ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა ინსტიტუციონალიზაციის უმძიმესი პრაქტიკა და სახელმწიფო პოლიტიკის ხარვეზები ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით, საზოგადოებაში არსებული სტიგმა აღნიშნული პირთა ჯგუფის მიმართ და პოტენციურ დამსაქმებელთა მიერ დისკრიმინაციული მოპყრობა სამსახურის ძიების დროს. საანგარიშო პერიოდში თავის განცხადებებში EMC ასევე უთითებდა ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის (2015-2020 წლებისათვის) მთელი რიგი მიმართულებების არაერთგვაროვან იმპლე-

მენტაციას ქვეყანაში, მათ შორის, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის განხორციელებისა და სათემო სერვისების განვითარების, ასევე, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის მიმართულებით. ამასთან, ორგანიზაცია გამოეხმაურა სავარაუდოდ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებით გამოწვეულ სუიციდის შემთხვევებს და ხაზი გაუსვა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების აღიარების მნიშვნელობაზე ჯანდაცვის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად. მთელ რიგ გამოწვევებთან ერთად EMC-მ მიუთითა ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის იმ ნაწილის იმპლემენტაციის პრობლემაზეც, რომელიც ქვეყანაში სუიციდის პრევენციის პროგრამების შემუშავებასა და დანერგვას ითვალისწინებს.



ოლგა კალინა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებულ პრობლემებზე

ამ მიმართულებით მომზადდა:



იოთამ თოლუბის შეხვედრა შშმ პირებთან და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან



იოთამ თოლუბის შეხვედრა სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებთან



ბლოგი – სამსახურის ძიებაში



ვიდეო – ოლგა კალინა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებულ პრობლემებზე



ბლოგი – სისტემა, რომლისთვისაც არ არსებობ



ბლოგი – ძალადობა და ფსიქიკური პრობლემები: არარსებული კავშირი?



განცხადება – EMC-ს განცხადება ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით



განცხადება – EMC აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ საგანგაშო მდგომარეობას ეხმიანება

სტრატეგიული სამართალწარმოება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში EMC-ის სოციალური პოლიტიკის პროგრამა 30-ზე მეტ მიმდინარე დავას აწარმოებდა საერთო სასამართლოებში, საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტში შრომის უფლების, სათანადო საცხოვრებლის უფლებისა და შვებულებითი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით.

მათ შორის:

- ▶ საანგარიშო პერიოდში დასრულდა შრომითი დავა, სადაც EMC სასამართლოში წარმოადგენდა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციებიდან სამსახურიდან დათხოვილი მანანა საღლიანის ინტერესებს. **მანანა საღლიანი** სვანეთში დაგვმილი პესების მშენებლობის წინააღმდეგ წინააღმდეგობაში იყო **ჩართული**. საქმეზე კანონიერ ძალაში შევიდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რითად დაკმაყოფილდა მოსარჩელე მხარის ყველა მოთხოვნა გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის, მანანა საღლიანის სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში. ამ ეტაპზე გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი მიმდინარეობს.
- ▶ ორგანიზაცია ასევე წარმოადგენდა ნარგის ნიგურიანისა და მაია კახიანის ინტერესებს, რომლებიც მანანა საღლიანის მსგავსად სვანეთში პესების მშენებლობის საპროტესტო აქტივიზმში იყვნენ ჩართულნი. დავებში ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია მათი სამსახურიდან დათხოვნის ბრძანება და ყველა მათგანი გააუქმა, მსჯელობა სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა და მიღებული გადაწყვეტილება სრულად გააუქმა. EMC აგრძელებს ბენეფიციარების ინტერესების წარმოდგენას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში;
- ▶ ორგანიზაციის სამართლებრივი მხარდაჭერით წარმატებით დასრულდა სასამართლო დავა პირველი ინსტანციის სასამართლოებში შპს „ბიბლუსის“, ასევე, რუსთავის მუნიციპალური თეატრიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირების სამსახურში აღდგენისა და კომპენსაციის გადახდის მოთხოვნის თაობაზე. ორგანიზაცია წარმოადგენდა შპს „ბიბლუსის“ ექვსი ყოფილი დასაქმებულის ინტერესებს სასამართლოში, სადაც კომპანია მოპასუხეებისგან ითხოვდა ბიბლუსში არსებული შრომითი პირობების თაობაზე გავრცელებული ინფორმაციის ცილისმწამებლურ ინფორმაციად ცნობას და მათ უარყოფას. საქმეზე შპს „ბიბლუსის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
- ▶ საანგარიშო პერიოდში წარმატებით დასრულდა ორგანიზაციის შრომითი დავა, სადაც EMC სასამართლოში წარმოადგენდა სსიპ „მწერალთა სახლისა“ და სსიპ „ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის“ რეორგანიზაციის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლებული პირის ინტერესებს. საქმეზე მხარეებმა მიიღწიეს მორიგებას, რის საფუძველზეც სსიპ „მწერალთა სახლმა“ აღიარა მოსარჩელის უსამართლოდ დათხოვნა და დარღვეული უფლების საკომპენსაციოდ თანხის გადახდის ვალდებულება აიღო;
- ▶ წარმატებით დასრულდა და კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, სადაც ორგანიზაცია წარმოადგენდა მეწყერსაშიშ ზონაში მცხოვრები ეკომიგრანტს. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბენეფიციარის განსახლებისათვის საჭირო ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარება დაავალა, რაც ბენეფიციარისათვის უსაფრთხო აღვილზე საცხოვრებელი სახლის შესყიდვას გულისხმობს. ამ ეტაპზე გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი მიმდინარეობს;
- ▶ მიმდინარე წლის განმავლობაში ორგანიზაციამ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივასთან“ ერთად სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა, რომლითაც სვანეთში დაგვმილი პესის – „ნენსკრა პესის“ განახლებული პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (გზშ) მომზადების ვალდებულებისგან გათავისუფლდა.
- ▶ ორგანიზაცია საანგარიშო პერიოდის მანძილზე საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტში წარმოადგენდა ბენეფიციარების ინტერესებს შპს „ბლექ სი გრუპის“ წინააღმდეგ შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის სპეციფიკური ფორმის – შვეიწროების დადგენის მოთხოვნით. აღნიშნულ საქმეზე სახალხო დამცველმა შვეიწროება დაადგინა.
- ▶ ორგანიზაცია ასევე უწევს სამართლებრივ მხარდაჭერას შრომითი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვლილი დასაქმებულების ოჯახებს საქმეზე ობიექტური და სამართლიანი გამოძიების შედეგების, ასევე სამართლიანი კომპენსაციის მიღებისათვის;
- ▶ სოციალური უფლებების პროგრამამ საანგარიშო პერიოდში გასცა 100-ზე მეტი წერილობითი და ზეპირი სამართლებრივი კონსულტაცია, შრომის უფლების, შვებულებითი შესაძლებლობის მქონე პირთა, სათანადო საცხოვრებლის უფლების და სხვა საკითხების თაობაზე.

ნარკოპოლიტიკის შეჩერებული რეფორმა და მიმდინარე ტენდენციები

ნარკოპოლიტიკის ძირეული რეფორმის პროცესი ერთ წელზე მეტია შეჩერებულია. 2018 წლის 12 მაისისა და ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების შემდეგ, ნარკოპოლიტიკის რეფორმის საკითხი პარლამენტში არ გააქტიურებულა.

რეფორმის შესახებ ხელისუფლების პოზიცია ამ დრომდე უცნობია. ამდენად, არსებითად უცვლელი რჩება ბოლო წლებში მოქმედი კანონმდებლობა ნარკოპოლიტიკის სფეროში. ხელისუფლება ძირითადად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებით შემოიფარგლება და ფართომასშტაბიანი რეფორმის მიმართულებით ნაბიჯებს არ დგამს.



ამ პირობებში, EMC განაგრძობს ნარკოპოლიტიკის სფეროში ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგს და დოკუმენტირებას. სწორედ ამ მიზნით, 2019 წლის 16 ივლისს, EMC-მ გამოაქვეყნა ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოლიტიკის, საკანონმდებლო ჩარჩოს და სისხლის-

სამართლებრივი პრაქტიკის ძირითადი ტენდენციების ამსახველი ანგარიში. ანგარიშის მიზანს წარმოადგენს ნარკოპოლიტიკის სფეროში არსებული სისტემური გამოწვევების დოკუმენტირება, სამართალდაცვით და მართლმსაჯულების სფეროში არსებული მდგომარეობის და პრაქტიკების შესწავლა.

ნარკოპოლიტიკის რეფორმის გაურკვეველი ვადით შეჩერების ფონზე, EMC-მ რეფორმის მხარდამჭერ ჯგუფებთან ერთად, მიმართა საქართველოს პარლამენტს და ამნისტიის პროცესის ინიცირებისკენ მოუწოდა. ამნისტია, როგორც შუალედური პოლიტიკური გადაწყვეტილება, ნარკოტიკული დანაშაულებისთვის უსამართლო ან არაპროპორციული სასჯელებით მსჯავრდებული პირების მდგომარეობის შემსუბუქებისთვის გონივრულ და სამართლიან ნაბიჯს წარმოადგენს. თუმცა, საშემოდგომო სესიაზე პარლამენტს ამნისტიის საკითხი არ განუხილავს და საპატიმრო დაწესებულებებში კვლავაც რჩებიან მსჯავრდებულები, რომლებიც უსამართლოდ მკაცრი სასჯელებს იხდიან.

ამ მიმართულებით მომზადდა:

-  განცხადება – ნარკოტიკულ დანაშაულზე საკონსტიტუციო სარჩელი
-  შეფასება – კანაფის ექსპორტის საკითხზე
-  ვიდეო – 1 წელი საპოლიციო ოპერაციიდან
-  კვლევა – ნარკოპოლიტიკა საქართველოში – შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები



ვიდეორეპორტაჟი: 1 წელი საპოლიციო ოპერაციიდან

20 ივნისის მოვლენები: ანტისაოკუპაციო აქციის დაშლა და პოლიციის მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენება

20 ივნისს, თბილისში მიმდინარე ანტისაოკუპაციო აქცია პოლიციამ სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაშლა. მრავალრიცხოვანი აქციის ორგანიზება თბილისში რუსი დეპუტატის ვიზიტს და პარლამენტის ტრიბუნაზე მის გამოჩენას მოჰყვა. აქციაზე, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში მშვიდობიანად ვითარდებოდა, დემონსტრანტთა გარკვეულმა ნაწილმა პარლამენტში შესვლის მიზნით პოლიციის დანაყოფებთან ფიზიკური დაპირისპირება დაიწყო. დაახლოებით ღამის 12 საათისთვის პოლიციამ აქციის დაშლის გადანეწყვტილება მიიღო და რამდენიმე საათის განმავლობაში აქციის მონაწილეთა მიმართ სხვადასხვა სახის სპეციალურ საშუალებას იყენებდა. ბოლო წლების განმავლობაში, ეს იყო აქციის დაშლის და ამ მასშტაბის საპოლიციო ძალის გამოყენების პირველი შემთხვევა.



ფოტო: რადიო თავისუფლება

20 ივნისს, პოლიციის მხრიდან გამოყენებულ სპეციალურ საშუალებებს, არაპროპორციულად და დიფერენცირების გარეშე გამოყენებულ საპოლიციო ძალას,

მასების მართვის პროცესში სათანადო სტრატეგიების არარსებობას და აქციის დაშლისთვის დადგენილი საბაზისო პრინციპების უგულებელყოფას, შედეგად არაერთი ადამიანის, მათ შორის, მშვიდობიანი დემონსტრანტების მძიმე დაზიანება და ფართომასშტაბიანი დაკავებები მოჰყვა.

აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით, EMC ადმინისტრაციული წესით დაკავებული 9 პირის, ხოლო სისხლის სამართლის წესით ბრალდებული ერთი პირის ინტერესებს [იყავდა სასამართლოში](#).

20 ივნისის საპროტესტო აქციის დაშლისა და პოლიციის მოქმედებების პირველადი სამართლებრივი შეფასება ორგანიზაციამ 4 ივლისს [გამოაქვეყნა](#). მიმოხილვამ აღწერა აქციის განვითარების დინამიკა, დემონსტრანტთა ნაწილის მხრიდან ძალადობრივი ქმედებების ინიცირება, პოლიციის მხრიდან აქციის დაშლის გადანეწყვტილების მიღება და ამ პროცესში პოლიციის მხრიდან გამოყენებული არაპროპორციული საპოლიციო მექანიზმები, ისევე როგორც აქციის დაშლის კონტექსტში ადამიანის უფლებების დარღვევის მძიმე შემთხვევები. EMC-ის მომზადებულ პირველად ანგარიშში შეფასებულია:

- ▶ აქციის დაშლის გადანეწყვტილების კანონიერება;
- ▶ აქციის დაშლის პროცესში გამოყენებული საპოლიციო ძალის პროპორციულობა;
- ▶ დემონსტრანტთა დენის და დაკავების შემთხვევები;
- ▶ ჟურნალისტების საქმიანობაში ხელშეშლის შემთხვევები.



რეფორმები პოლიციაში: საგამოძიებო სისტემა

საპოლიციო დანაყოფების რეფორმის მიმართულებით განსაკუთრებით მწვავედ დგას ოპერატიული და საგამოძიებო მექანიზმების ძირეული ცვლილების საკითხი. კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი ის საპოლიციო დანაყოფია, რომელსაც არაერთი წელია არსებითი და ძირეული რეფორმები არ შეხებია, მაშინ როდესაც, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან ერთად, სწორედ კრიმინალური პოლიციაა ყველაზე აქტიურ და ხშირ კონტაქტში მოქალაქეებთან. კრიმინალური პოლიციის რეფორმის მიზნებისთვის, არსებითი მნიშვნელობა აქვს საგამოძიებო სისტემას, რომელიც დღეს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ხარისხიანი გამოძიების მოთხოვნებს ვერ პასუხობს. ისევე როგორც ოპერატიული საპოლიციო დანაყოფების რეფორმას, რომელთა ფარული და ფართომასშტაბიანი ხასიათი, ადამიანის უფლებების თვითნებური შეზღუდვის მომეტებულ რისკებს შეიცავს.

ამ საკითხზე EMC-იმ, პარტნიორ ორგანიზაციასთან „საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაციასთან“ ერთად, მოამზადა **კვლევა**, რომელიც საქართველოში მოქმედი საგამოძიებო სისტემის ანალიზს და რეფორმის პერსპექტივებს წარმოადგენს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, EMC აქტიურად მუშაობდა საგამოძიებო სისტემის რეფორმის ადვოკატირებაზე, რომლის მთავარი მიზანიც კრიმინალური პოლიციის რეფორმა და გამოძიების დამოუკიდებლობის, ობიექტურობის და ხარისხის გაზრდაა.

ამ მიზნით, EMC-იმ შეიმუშავა რეკომენდაციები საგამოძიებო სისტემის რეფორმის მიზნით და მოუწოდა შესაბამის ორგანოებს მისი **განხორციელებისკენ**. ასევე, მოამზადა დეტალური კანონპროექტი საგამოძიებო ორგანოების მუშაობის რეფორმირების მიზნით და გამართა არაერთი სამუშაო შეხვედრა ამ საკითხზე. რეფორმის აუცილებლობის და მის ფარგლებში განსახორციელებელ საჭირო ღონისძიებებთან დაკავშირებით, EMC-იმ საკუთარი მოსაზრებები ასევე წარუდგინა ვენეციის **კომისიას**. საპოლიციო დანაყოფების რეფორმის საკითხზე, EMC-მ ასევე გამოაქვეყნა მართლწესრიგის ოფიცრების ახალი მექანიზმის შესახებ სამართლებრივი შეფასება.

ამ მიმართულებით მომზადდა:



კვლევა – „საგამოძიებო სისტემის ანალიზი“



EMC-ს მოსაზრებები ვენეციის კომისიას საგამოძიებო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით



კანონპროექტი – საგამოძიებო სისტემის რეფორმის



EMC-ს შეფასება მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შესახებ

დღეს საქმეზე
დამოუკიდებელი და
ხარისხიანი გამოძიების
ჩატარებას ხელს უშლის



ვიდეორეპორტაჟი: საგამოძიებო სისტემის რეფორმა

პროკურატურის რეფორმა: კონსტიტუციურ ცვლილებებთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესი

ბოლო კონსტიტუციური რეფორმის ფარგლებში, არსებითად შეიცვალა პროკურატურის სამართლებრივი სტატუსი, მისი ადგილი სახელისუფლებო ორგანოთა სისტემაში და უფლებამოსილების, საქმიანობის წესის და ანგარიშვალდებულების განმსაზღვრელი კონსტიტუციური ჩარჩო. განეული სამუშაოს მიუხედავად, ნათლად ჩანს, რომ პროკურატურის რეფორმამ მისი დეპოლიტიზირების, ანგარიშვალდებულების სისტემის გამართვისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტის გააძლიერების მიმართულებით არსებითი გარდატეხა ვერ შეიტანა.

ლობაში ჰარმონიზებისთვის დეტალური **კანონპროექტი**. ამასთან, ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული პარლამენტის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო პაკეტის განხილვებში, რაზეც EMC საკუთარი მოსაზრებებიც წარადგინა.

პროკურატურის რეალური და ძირეული რეფორმირების იდეის მხარდაჭერის და დისკუსიების უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაციამ რამდენიმე ფართომასშტაბიანი ღონისძიება გამართა, მათ შორის, პროკურატურის სისტემების რეფორმირების საკითგებში საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობით.

კონსტიტუციურ ცვლილებებთან კანონმდებლობის მაქსიმალური ჰარმონიზაციის მიზნით, EMC-მ საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობით მოამზადა **კვლევა** და კონსტიტუციური პრინციპების კანონმდებ-

პროკურატურის რეფორმის საკითხზე პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ძირითადი ხარვეზები, EMC-მ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ კოალიციასთან ერთად შეაფასა.



მრგვალი მაგიდა თემაზე: „პროკურატურის რეფორმა საკონსტიტუციო ცვლილებების შუქზე.“

ამ მიმართულებით მომზადდა:



კვლევა – პროკურატურის რეფორმის შესახებ



მოსაზრებები – „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფორმირება და ცვლილებები უსაფრთხოების ორგანოების კოორდინაციაში

ბოლო კონსტიტუციური ცვლილების საფუძველზე, ქვეყანაში უშიშროების საბჭოს გაუქმების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში ერთიანი მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნის აუცილებლობა. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობამ კანონმდებლობაში ცვლილებების პაკეტი შეიმუშავა.

საკანონმდებლო ცვლილებები შემდეგ ძირითად საკითხებს მოიცავდა:

- ▶ უსაფრთხოების საბჭოს ორგანიზაციული მოწყობა;
- ▶ პრემიერ-მინისტრის როლი უსაფრთხოების საბჭოს პოლიტიკის მართვაში;
- ▶ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს დაკომპლექტება;
- ▶ უსაფრთხოების საბჭოს მდივნის სტატუსი და თანამდებობაზე გამწესების წესი.

უსაფრთხოების სისტემაში ერთიანი მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნის აუცილებლობის გათვალისწინებით, EMC აქტიურად ჩაერთო ინიცირებული კანონპროექტის საკომიტეტო განხილვებში. EMC-იმ კანონპროექტთან დაკავშირებით მომზადა შეფასებები და მოსაზრებები გაუზიარა პარლამენტს და მთავრობას, როგორც კანონპროექტის ინიციატორ **ორგანოს**. ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების განხილვის მიზნით, EMC-იმ ორგანიზება გაუწია მრგვალ მაგიდას, რომელშიც საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები, უსაფრთხოების სფეროს ექსპერტები მონაწილეობდნენ.

კანონპროექტის მიღების შემდეგ, EMC-იმ მოამზადა მოკლე ანალიტიკური დოკუმენტი, რომელშიც შეაფასა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შესახებ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები.



დისკუსია თემაზე: „ეროვნული უსაფრთხოების საბჭო- ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა“

ამ მიმართულებით მომზადდა:



განცხადება – ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებების შეფასება

მდგომარეობა მართლმსაჯულების სისტემაში: სასამართლო რეფორმის შედეგები

ბოლო წლებში მართლმსაჯულების სისტემაში გატარებული რეფორმების მიუხედავად, საზოგადოების ნდობა სასამართლოს მიმართ კვლავ გამორჩეულად დაბალია, რასაც დიდწილად განაპირობებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა და პრობლემური გადაწყვეტილებები, გახმაურებული, პოლიტიკურად და საზოგადოებრივად სენსიტიური საქმეების განხილვის პროცესი სასამართლოში, არაერთი გადადებული ან/და არასრულფასოვნად გატარებული რეფორმა.

სასამართლოს მიმართ საზოგადოების ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევის მიზნით, EMC-მ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები მოამზადა და გამოაქვეყნა. კვლევის ფარგლებში 2,080 ინდივიდუალური ინტერვიუ ჩატარდა და გამოვლინდა, რომ საქართველოს მოსახლეობაში კვლავ კრიტიკულად დაბალია ნდობა სასამართლოს მიმართ, მათ შორის, სხვა ინსტიტუტებთან და ხელისუფლების შტოებთან შედარებით. ნდობის კლების ტენდენციამ

მიუთითებდა, 2014 წელს ჩატარებულ მსგავს კვლევასთან შედეგების შედარებას. კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარს მიაჩნია, რომ მოსამართლეები საქართველოში დამოუკიდებლები არ არიან.

გარდა ამისა, ბოლო წლებში სასამართლო სისტემაში გატარებული რეფორმების გავლენების და შედეგების ანალიზის მიზნით, EMC-მ, პარტნიორ ორგანიზაცია IDFI-სთან ერთად, რამდენიმე მნიშვნელოვანი მონიტორინგის ანგარიში მოამზადა, მათ შორის, გამოიცა ანგარიში, რომელიც მოიცავს ბოლო წლების ორი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმის – სასამართლოში საქმეთა განაწილების ახალი სისტემისა და დისციპლინურ საკითხებზე დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობის შეფასებას.

საქმეთა შემთხვევითი განაწილების წესის ამოქმედება ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე პოზიტიურ და მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა. თუმცა, ანგარიშმა აჩვენა, რომ განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, არაერთი სისტემური ბარიერი არსებობს საქმეთა განაწილების ახალი მოდელის სრულფასოვანი

საქართველოს მოსახლეობის ცოდნა და დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ
2018 წლის გამოკითხვა



ევროკავშირის
საქართველოსთვის
EU4Georgia

EMC
European Monitoring Center for
Media and Democracy

IDFI
International Development
Foundation for
Investment and Democracy



ამოქმედებისთვის, მათ შორისაა, სასამართლოს თავმჯდომარეთა არაგონივრულად ფართო უფლებამოსილება, მოსამართლეთა სიმცირე სასამართლოებში და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ზოგადი წესიდან დადგენილი გამონაკლისების მნიშვნელოვანი ზრდა.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის და დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობის შეფასებისას, სხვა საკითხებთან ერთად, კიდევ ერთხელ გამოჩნდა დისციპლინური გადაცდომის სახეების ბუნდოვანების პრობლემა. ასევე, გამოიკვეთა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუციური გარანტიების გაძლიერებისა და ზოგადად, დისციპლინური მექანიზმების სამართლიანად, არათვითნებურად და ობიექტურად გამოყენების საჭიროება.

გარდა ამისა, EMC-იმ პარტნიორ ორგანიზაცია IDFI-სთან ერთად გამოაქვეყნა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის საფუძველზე შემუშავებული სასამართლო სისტემის ხუთწლიანი სტრატეგიისა და ორწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში. ხელისუფლების სამივე შტოს და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, კონსენსუსზე დაფუძნებული გრძელვადიანი რეფორმის სტრატეგიის შექმნა, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. თუმცა, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესზე დაკვირვებამ გამოკვეთა, რომ სასამართლო ხელისუფლებისთვის შემუშავებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ არის პრიორიტეტული დოკუმენტი, პრაქტიკულად, ყველა ფუნდამენტური მნიშვნელობის სა-



რა დატვირთვით განიხილავენ საქმეებს მოსამართლეები
კითხი ამ დრომდე შეუსრულებელი რჩება.

მონიტორინგის პერიოდში შესწავლილი 100-მდე აქტივობიდან 53% შეუსრულებელია, 20% – ნაწილობრივ შესრულებული, ხოლო 26% – შესრულებული. ერთ აქტივობას კი შესაბამისი სტატუსი ვერ მიენიჭა.



ამ მიმართულებით მომზადდა:

- ანგარიში – „მოსამართლის ცოდნა და დამოუკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ“
- ანგარიში – სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა
- ინფოგრაფიკა – „რა დატვირთვით განიხილავენ საქმეებს მოსამართლეები“
- კვლევა – „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“
- ბლოგი – „რატომ არის მნიშვნელოვანი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობა“
- ბლოგი – „თავმჯდომარეების როლი და გავლენები სასამართლოში“
- კვლევა – სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევა: ისტორიული პროცესი და შესაძლებლობა საქართველოს მართლმსაჯულებისთვის

მართლმსაჯულების სისტემისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის პროცესი დაიწყო 2018 წლის მიწურულს, როდესაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, უხეში პროცედურული დარღვევებით და დაჩქარებული წესით, უზენაეს სასამართლოში უვადოდ დასანიშნი 10 კანდიდატის წარდგენის გადაწყვეტილება მიიღო. საბჭოს თვითნებურ მოქმედებას და ამ პროცესში მოსამართლეთა ვიწრო ჯგუფის ინტერესების გატარების ცალსახა ნიშნების არსებობას, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მიიმე კრიტიკა და პროტესტი მოყვა.

პროცესის შეჩერების და საკანონმდებლო რეფორმის მოთხოვნის მიზნით, EMC-იმ პროფესიულ და აქტივისტურ ჯგუფებთან ერთად, ღია პლატფორმის ფარგლებში დაიწყო მუშაობა. სწორედ ამ პლატფორმის ფარგლებში დაიგეგმა რამდენიმე მნიშვნელოვანი აქცია, მომზადდა საჯარო პეტიციები და მიმართვები, რამაც ხელი შეუწყო ნაჩქარევი პროცესის ჩეშვრებას და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის საკითხების მკაცრ რეგლამენტირებას.

არაერთი მიმართვისა და საზოგადოებრივი პროტესტის ფონზე, პარლამენტმა უარი თქვა ნაჩქარევად საკითხის განხილვაზე, დასახელებულმა კანდიდატებმა კი საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს. ამის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესისა და კრიტერიუმების მარეგულირებელ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა დაიწყო.

EMC მართლმსაჯულების საკითხებზე მომუშავე კოალიციის წევრ ორგანიზაციებთან ერთად, აქტიურად იყო



აქცია – „სასამართლოს გადასარჩენად“



ჩართული კანონპროექტის საკომიტეტო განხილვებში, თუმცა ხელისუფლებამ მთელი ამ პროცესის განმავლობაში ვერ აჩვენა ურყევი და მტკიცე პოლიტიკური ნება, შეეძენა საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფს პროცესში პრაქტიკულ და რეალურ ბარიერებს დაუდგენდა.

2019 წლის მაისიდან, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, განახლებული საკანონმდებლო ჩარჩოს საფუძველზე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესი ხელახლა დაიწყო. EMC სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად აკვირდებოდა კანდიდატების შერჩევის თითოეულ ეტაპს. საბოლოოდ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსმენების საფუძველზე 20 კანდიდატი შეარჩია და 2019 წლის 4 სექტემბერს აღნიშნული კანდიდატები საქართველოს პარლამენტს წარუდგინა. საშემოდგომო სესიის განმავლობაში, პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში კიდევ ერთხელ მოხდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების ინდივიდუალური მოსმენა. მოსმენები მიმდინარეობდა საჯაროდ, ღია ფორმატში და კანდიდატებისთვის შევითხვების დასმის შესაძლებლობა ჰქონდათ როგორც პარლამენტარებს, აგრეთვე სახალხო დამცველის წარმომადგენელს, სამეცნიერო, პროფესიული და სამოქალაქო ჯგუფების წარმომადგენლებს. ანგარიშის წერის მომენტისთვის, პარლამენტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, თუ რომელი კანდიდატი შეირჩეოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეად.

ამ მიმართულებით მომზადდა:

- ბლოგი – რა დარღვევებით მიმდინარეობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესი
- ანალიტიკური დოკუმენტი – თავმჯდომარეების როლი და გავლენები სასამართლოში
- მანიფესტი – მართლმსაჯულების გადასარჩენად
- სატელეფონო გამოკითხვის შედეგები – „მოსახლეობის ცოდნა და დამოკიდებულება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესის მიმართ“
- სატელეფონო გამოკითხვის შედეგები – „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევა: რა იცის და რა დამოკიდებულება აქვს ხალხს საქართველოში ამ პროცესის შესახებ“

სოციალური უფლებების ადვოკატირება მართლმსაჯულების პროცესში

სოციალური უფლებების სათანადო სტანდარტებით დაცვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქართული მართლმსაჯულების და ზოგადად, სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის. აღნიშნულ უფლებებზე ნაკლებად იმართება აკადემიური თუ პროფესიული დისკუსიებიც. ამ ფონზე, EMC-იმ, ექსპერტ ნანა მჭედლიძესთან თამაშრომლობით, მოამზადა ორი სახელმძღვანელო დოკუმენტი შრომით და საცხოვრისის უფლებებზე. სახელმძღვანელოებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან ერთად, ევროპული სოციალური ქარტიითა და ევროპული კავშირის ძირითად თავისუფლებათა ქარტიით დადგენილი სტანდარტების ჭრილში არის მიმოხილული საცხოვრისის და შრომითი უფლებები, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ გასატარებელი პოლიტიკის გარკვეული კომპონენტები.

აღნიშნული დოკუმენტები არის ერთგვარი დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც მიზნად ისახავს, მოსამართლეებს, ადვოკატებს, ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებს, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს გაუზიაროს თემატურად თავმოყრილი, სისტემატიზებული და გადამუშავებული მასალა შრომისა და საცხოვრისის უფლებებთან დაკავშირებით. დოკუმენტების შექმნის მიზანი იყო შრომის და საცხოვრისის უფლებებთან დაკავშირებით, ცოდნისა და მგრძნობელობის ამაღლება შესაბამის პროფესიულ წრეებში და ზოგადად, საზოგადოებაში. აგრეთვე, უკეთესი სტანდარტების დანერგვა სამართალწარმოების პროცესში. აღნიშნული დოკუმენტების და ზოგადად, სოციალური უფლებების აქტუალიზების მიზნით, EMC-იმ, სახელმძღვანელოს ავტორთან ერთად, სამუშაო შეხვედრები გამართა თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და თელავის სასამართლოებში. შეხვედრებს ესწრებოდნენ როგორც მოსამართლეები, ისე სასამართლო აპარატის თანამშრომლები.

ამ მიმართულებით მომზადდა:



სახელმძღვანელო იურისტებისათვის – „საცხოვრისის უფლება – საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა“



სახელმძღვანელო იურისტებისათვის – „შრომითი უფლებები – საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა“



რეფორმის პერსპექტივები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მოსამართლის როლი და მისი პროცესუალური უფლებამოსილებები არაერთხელ გამხდარა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფისა თუ თავად სასამართლო სისტემის წარმომადგენლების მხრიდან დისკუსიის საგანი. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლეთა უფლებამოსილებები გარკვეულწილად შემღუდულია, რაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის პროცესში სასამართლოს ეფექტიანობის შემცირებას განაპირობებს.

ამ საკითხების დამატებითი გამოკვლევის და დისკუსიის მხარდაჭერის მიზნით, CRRC-ის ავტორობით, მომზადდა დოკუმენტი, რომელიც აღწერს მოსამართლეების და ადვოკატების განწყობების სამართლიანი, მიუკერძოებელი და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად მოსამართლის როლთან დაკავშირებით. კვლევის ფარგლებში, ჩატარდა 20-მდე ინდივიდუალური ინტერვიუ მოსამართლეებთან და სამი ფოკუს-ჯგუფი პრაქტიკოს ადვოკატებთან. კვლევაში გაერთიანებული მოსამართლეთა და ადვოკატების მოსაზრებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- ▶ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების განხილვა;
- ▶ ნარკოტიკული დანაშაული და ოჯახში ძალადობის შემთხვევები;
- ▶ სასჯელთა პროპორციულობა და სხვა.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმებზე დისკუსიის ხელშეწყობის მიზნით, EMC-მ ასევე მოამზადა ანალიტიკური დოკუმენტი, რომელიც მიმოიხილავს შეჭიბვებითი სისხლის სამართლის სისტემაში არსებულ ბარიერებს და გამოწვევებს.

ამ მიმართულებით მომზადდა:



კვლევა – „მოსამართლის როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში“



ბლოგი – „შეჭიბვებითი სისხლის სამართლის პროცესის კრიტიკისთვის: ბარიერები სისხლის სამართლის დადგენის გზაზე“



EMC-მ CRRC-სთან ერთად სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში მოსამართლის როლზე ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგების პრეზენტაცია გამართა.

ძალის გადამეტების პრევენცია და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გავლენა სისხლის სამართალწარმოებაზე

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები აქტიურად გამოიყენება საპოლიციო და საგამოძიებო საქმიანობაში, რომლის ფარგლებშიც სამართალდამცავები მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებენ კონკრეტული დანაშაულებრივი ფაქტების, სამართალდარღვევების, თუ ზოგადი კრიმინოგენული ვითარების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მეტად ძლიერი ბერკეტია პოლიციისთვის, ის აგრეთვე ქმნის ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევის რისკებს, რადგან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე არასაკმარისად ხორციელდება საპროკურორო და სასამართლო კონტროლი, აგრეთვე არ არსებობს მის განმახორციელებელ სუბიექტებზე ეფექტური შიდა-მეთვალყურეობის მექანიზმები.

აღნიშნული საკითხი EMC-სთვის არაახალია და ორგანიზაცია წლების მანძილზე ადვოკატირებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის რეფორმის საკითხებს. მიმდინარე წლის დასასრულს, EMC-იმ მოამზადა შემაჯამებელი კვლევა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე, სადაც გაანალიზებულია როგორც რელევანტური კანონმდებლობა, ასევე სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკა. კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული მექანიზმები ქმნის ერთგვარ პარალელურ გამოძიებას, ან ე.წ. წინასაგამოძიებო ეტაპს, რომლის ფაგლებშიც გამოძიებლები მოიპოვებენ საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციასა და ცნობებს იმგვარად, რომ მათზე არ ვრცელდება საპროკესო კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები და გარე-ზედამხედველობის მექანიზმები.

საპოლიციო-საგამოძიებო საქმიანობის კონტექსტში აგრეთვე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ძალის გადამეტების ერთიანი სტრატეგიის არარსებობა. წლების მანძილზე, სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტების შემთხვევები წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. ქვეყანაში დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის შექმნის კვალობაზე (2019 წლის ნოემბრიდან ამოქმედდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც უფლებამოსილია გამოიძიოს სამართალდამცავების მიერ ჩადენილი კონკრეტული ტიპის დანაშაულები), მნიშვნელოვანია აგრეთვე არსებობდეს შიდაუწყებრივი ბერკეტები და მექანიზმები, რომლებიც დააზღვევს პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის რისკებს. ამ ფონზე, EMC-იმ მოამზადა კვლევა, რომელშიც მიმოხილულია საპოლიციო საქმიანობის ის კონკრეტული ასპექტები, რომლებიც ძალის გადამეტების განსაკუთრებულ რისკებს ქმნის. კვლევაში აგრეთვე შემოთავაზებულია დეტალური რეკომენდაციები, თუ რა მექანიზმებით არის შესაძლებელი პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის და ძალის გადამეტების პრევენცია.

ამ მიმართულებით მომზადდა:



კვლევა – „ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში“



კვლევა – „არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში“



სამართალდამცავი ორგანოების ოპერატიული საქმიანობის შესახებ კვლევის პრეზენტაცია

შეწყალება

პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულთა შეწყალება მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტრუმენტია არსებული მკაცრი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პირობებში. წლების მანძილზე, შეწყალების უფლებამოსილება აქტიურად გამოიყენებოდა ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა მიმართ, რაც მოქმედი რეპრესიული ნარკოპოლიტიკის შემსუბუქების ერთგვარი მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს.

რამდენ მსჯავრდებულს ჰქონდა მიმართული პრეზიდენტისთვის შეწყალების შუამდგომლობით, მათი რა ნაწილი დაკმაყოფილდა და როგორი იყო ზოგადი ტენდენციები – რომელ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა მიმართ გამოიყენებოდა უფრო ხშირად აღნიშნული უფლებამოსილება. აგრეთვე მომზადდა მოკლე ანალიტიკური დოკუმენტი, სადაც მიმოხილულია შეწყალების ინსტიტუტის არსი, მისი წარმოშობის და განვითარების მოკლე ისტორია და საქართველოში მოქმედი შეწყალების მოდელის ძირითადი ხარვეზები და გამოწვევები.

საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილების გამოყენება არაერთხელ გახდა საზოგადოებრივი დისკუსიის და განსჯის საგანი. 2019 წლის შემოდგომაზე კი პრეზიდენტმა მორატორიუმი გამოაცხადა ამ უფლებამოსილებით სარგებლობაზე მანამ, სანამ არ შემუშავდებოდა სპეციალური მარეგულირებელი აქტები საკითხთან დაკავშირებით.

საკითხის შესწავლის მიზნით, EMC-იმ გააანალიზა 2019 წლის პირველი 9 თვის მონაცემები შეწყალების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, კერძოდ,

ამ მიმართულებით მომზადდა:



ინფოგრაფიკა – 2019 წლის პირველ 9 თვეში შეწყალების გამოყენებასთან დაკავშირებით



ანალიტიკური სტატია – „შეწყალების პოლიტიკურობა და კონსტიტუციური წესრიგის ლოგიკა“



სტრატეგიული სამართალწარმოება

EMC განაგრძობს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებში, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სტრატეგიული საქმეების წარმოებას, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან თვითნებობისა და უფლებამოსილების გადახედვების ფაქტებზე საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფი პირების ინტერესების დაცვას სასამართლოს, პროკურატურისა და სხვა სახელმწიფო უწყებების წინაშე.

საანგარიშო პერიოდში EMC-იმ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ორ საქმესთან დაკავშირებით მიმართა.

- ▶ ვლადიმერ მჭედლიშვილის **საჩივარში** საუბარია ადმინისტრაციული წესით დაკავების შემდგომ მჭედლიშვილის მიმართ პოლიციის განყოფილებაში ცემის ფაქტსა და შემდგომში ამ შემთხვევის არასათანადო გამოძიებაზე.
- ▶ ზვიად რატიანის **საქმე** ასევე გაიგზავნა ევროპულ სასამართლოში. ამ საქმეში ყურადღება გამახვილებულია, 2017 წლის 23 დეკემბერს, ადმინისტრაციული წესით დაკავებული ზვიად რატიანის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. კერძოდ, დაკავებისას და შემდგომში, პოლიციის მიერ დაკავებულის მძიმე სიტყვიერ და ფიზიკურ შეუარაცყოფაზე და ამ საქმის არაეფექტიან გამოძიებაზე ქვეყნის შიგნით.

საანგარიშო პერიოდში EMC-იმ საკონსტიტუციო სასამართლოს, ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით კიდევ ერთი **სარჩელით** მიმართა და უმცირესი რაოდენობის ნარკოტიკული საშუალებების ფლობისთვის დაწესებული სასჯელის არაკონსტიტუციურობა მოითხოვა.

ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდი ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის და ინტეგრაციის მიმართულებით არ ყოფილა მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებების მომტანი. ინტეგრაციის პოლიტიკაში სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი რუტინული აქტივობები არსებითად არ პასუხობს ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარ რეალურ პოლიტიკურ და სოციალურ გამოწვევებს და უმცირესობების დაბალი, უფრო კი „წარმოსახვითი“ პოლიტიკური მონაწილეობის პირობებში რთულდება არადომინანტური ჯგუფების საჭიროებების, წუხილებისა და ინტერესების სათანადო პოლიტიკური არტიკულირება.



ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა უფლებების დაცვის, თანასწორობისა და ინკლუზიის პრინციპების ნაცვლად, მეტწილად ისეთ პრობლემურ პერსპექტივებს ეფუძნება, როგორიცაა: უსაფრთხოება, გეოპოლიტიზირება და კულტურული დომინაცია. სახელმწიფო პოლიტიკა სათანადოდ ვერ ხედავს იმ ღრმა და სტრუქტურულ უთანასწორობას, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მიმართ არსებობს ისტორიული იგნორირების და დომინაციის პრაქტიკის გამო. ამ მიდგომების პირობებში კი სახელმწიფოს არ გააჩნია სპეციალური პოზიტიური პოლიტიკა (მათ შორის, პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებაზე ორიენტირებული სპეციალური მექანიზმები, დასაქმების ხელშეწყობი პოლიტიკა, სოციალური დაცვის პროაქტიული მიდგომები), რომელიც მისი აღმოფხვრის სისტემურ და ინსტიტუციურ შესაძლებლობებს შეეფერება.

კრიზისი პანკისის ხეობაში

საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტიურად იდგა პანკისის ხეობის საკითხი. 2017 წლის 26 დეკემბერს ღამით საკუთარ საძინებელში მოკლული 19 წლის თემირლან მაჩა-

ლიკაშვილის საქმემ ადგილობრივ თემში კვლავ გააჩინა რეპრესიული პოლიტიკის და დაუცველობის შიში.

2019 წელს ადგილობრივი თემის უკმაყოფილებას პანკისის ხეობაში ჰესების კასკადის მშენებლობის საკითხი დაემატა. ხეობაში უკვე მოქმედებს 2 ჰესი, მდინარის ამავე ქსელში დამატებითი ორი ჰესის – „ხადორი 3“ და „სამყურისწყალი 2“-ის, მშენებლობა, ადგილობრივების აზრით, არსებითად დააზიანებს ხეობის უნიკალურ ბუნებრივ გარემოს და რეგიონის მდგრადი ეკონომიკური განვითარების რესურსს. ჰესების ნებართვების დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი აშკარად დაუსაბუთებელია და სათანადოდ არ არის შესწავლილი ჰესების მშენებლობისგან გარემოზე ზემოქმედების რისკები, მათ შორის, სასმელ წყალზე და ჰესების სიახლოვეს მდებარე დაცულ ტერიტორიებზე მისი ზეგავლენა.

თითქმის 1 წლის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარ წუხილს ჰესების მშენებლობის გეგმაზე სხვადასხვა ფორმით გამოხატავდა და ხელისუფლებასთან ჰესების საკითხის სამართლიანი დისკუსიის ფორმატში განხილვას ითხოვდა. თუმცა, 2019 წლის 21 აპრილს მოლაპარაკებების რესურსის ამოწურვის გარეშე და ჰესების შესახებ დისკუსიის გაგრძელების შესახებ მთავრობის წარმომადგენლების საჯარო დაპირების მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხეობაში მასშტაბური საპოლიციო ღონისძიება დაგეგმა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ასეულობით თანამშრომელი და ტექნიკა შეიყვანა ადგილზე.



ფოტო: აჭარის ტელევიზია



ოფიციალური განმარტებით, ხეობაში საპოლიციო ძალის შეყვანა ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნით, ჰიდროელექტროსადგურის „ხადორი 3“ მშენებლობის უზრუნველსაყოფად განხორციელდა. პანკისის ხეობაში მასშტაბური საპოლიციო ღონისძიების ორგანიზება ნათია თურნავას ეკონომიკის მინისტრად დანიშვნიდან რამდენიმე დღეში მოხდა, რამაც, ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები ინტერესთა კონფლიქტის და ენერგო ინტერესების ლობირების პრობლემაზე ააღაპარავა.

ადგილობრივმა თემმა ამ ფორმით ჰესის მშენებლობის მოულოდნელ განახლებას სპონტანური თვითორგანიზებით და წინააღმდეგობით უპასუხა. ჰესების წინააღმდეგ გამოვიდნენ, ქალები და მოხუცებიც. პოლიციამ ადგილობრივების უკმაყოფილებას და კოლექტიურ წინააღმდეგობას ინტენსიური საპოლიციო ძალა (ცრემლსადენი გაზის, რეზინის ტყვიების, ხელკეტების გამოყენებით) დაუპირისპირა.

აღსანიშნავია, რომ 21 აპრილის მოვლენებამდე პოლიციის და სუს-ის ადგილობრივი წარმომადგენლობა და შს მინისტრის პირველი მოადგილე თვითნებურად იყო ჩართული ჰესებთან დაკავშირებულ მედიაციის პროცესში. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი პოლიცია წინააღმდეგობაში ჩართული აქტივისტებისა და თემის ლიდერების შესაჩერებლად უკანონოდ იყენებდა საპოლიციო კონტროლის მექანიზმებს.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჰესების თემის გარშემო პოლიციის და სუს-ის აქტიურმა ინტერვენციამ და ამ პროცესში შიდა ინტერესთა ჯგუფების შექმნისა და წახალისების სტრატეგიამ, თემში შიდა დაპირისპირების რისკები გაზარდა, რაც, ადგილობრივების

თქმით, მიმდინარე წლის 27 ნოემბერს ადგილობრივ ჯგუფებს შორის შეიარაღებული კონფლიქტითა და მძიმე მსხვერპლით დასრულდა.

საპარლამენტო განხილვების დროს შინაგან საქმეთა მინისტრმა 21 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით საკუთარი უწყების შეცდომები აღიარა და ინფორმაციის ნაკლებობისა და კოორდინაციის პრობლემას გაუსვა ხაზი. პირველივე დღეებში ხელისუფლებამ სიტუაციის დეესკალაციისკენ მიმართული ნაბიჯები გადადგა, რომელიც პოზიტიურად უნდა შეფასდეს. თუმცა, ეს ნაბიჯები არ იყო სტაბილური და გრძელვადიანი პასუხი ნდობის კრიზისზე და ფრუსტრაციაზე, რომელიც ბოლო მოვლენების ფონზე ადგილობრივ თემში დაგროვდა.

21 აპრილის მოვლენების შემდეგ, პანკისის ადგილობრივი თემისთვის არა ერთი კითხვა გააჩინა ჰესების სიახლოვეს მდებარე დაცარიელებული სოფელი ხადორის დღესასწაულის დაწესებამ და აღნიშნამ. იმ ფონზე, როდესაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ განმარტების გარეშე უკვე ტრადიციად ქცეული „პანკისობის“ დღესასწაული ამ წელს არ აღნიშნა და ახლად დაწესებულ „ხადორობის“ დღესასწაულზე, რომელსაც არსებითად ქრისტიანული შინაარსი და ესთეტიკა ჰქონდა, ქისტი თემის წარმომადგენლები არ მოიწვია, ამ გადაწყვეტილებებმა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მათი დასჯის განცდა გააჩინა.

მთლიანობაში, მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმე, ისევე როგორც ჰესებთან დაკავშირებული მასშტაბური საპოლიციო ოპერაცია, ძალის დემონსტრირების ის მაგალითებია, რომლებიც პანკისის ხეობაში სხვადასხვა ხელისუფლების პოლიტიკას ისტორიულად ახასიათებს. დემონსტრაციულად რეპ-

რესიული სპეცოპერაციები ხეობაში ადგილობრივებში დაუცველობას, შიშს და გაუცხოებას ქმნის. თუმცა, დასაჯის, რეპრესიის ამ მძიმე შემთხვევებს ხელისუფლების მხრიდან სრული უმოქმედობა ან/და ძალის გამოყენების გაუმართლებელი ლეგიტიმაციის და ნორმალიზების რიტორიკა ახლავს თან. ის არც სამართლებრივი და არც პოლიტიკური მექანიზმებით არ ცდილობს ადგილობრივი თემში სოციალური უსაფრთხოების და ნდობის გაჩენისთვის საჭირო ძალისხმევის გაწევას.

რეპრესიასა და კონტროლზე ორიენტირებული პოლიტიკის ნაცვლად, თანასწორობასა და მდგრად განვითარებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემოღების შესახებ არა ერთი რეკომენდაციის მიუხედავად, მთავრობას არ აღმოაჩნდა ამგვარი პოლიტიკის გატარების პოლიტიკური ნება და რესურსი. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებული პანკისის ხეობის განვითარების გეგმის პროექტიც სხვადასხვა უწყების რუტინული საქმიანობების კომპილაცია უფროა, ვიდრე რეალურ სოციალურ ცვლილებებზე და პოზიტიურ განვითარებაზე ორიენტირებული ხედვა.

ბოლო წლებში ადგილობრივი აქტივისტები ცდილობენ შეცვალონ თემის სხვადასხვა პრივილეგირებული ჯგუფების გამოყენებით მართვის პოლიტიკის სტრუქტურა და ის უფრო დემოკრატიული, მონაწილეობითი და ღია გახადონ. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლება მის მიდგომებს ხეობასთან დაკავშირებით არ ცვლის და კვლავ კონტროლის არადემოკრატიული მექანიზმით ოპერირებს, ადგილობრივი აქტივისტებისთვის სოციალური ცვლილებების მიღწევა რთული ხდება და ცვლილების მიღწევის რწმენის ძალაც სუსტდება.



ჰესების მშენებლობის პროცესთან დაკავშირებით ადგილობრივების სამართლიან წინააღმდეგობაში EMC ცდილობდა მათთვის მხარი დაეჭირა, მათ შორის, სამართლოში წარმომადგენლობის, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ადვოკატირების, ასევე ჰესების პროექტებთან და გარემოზე ზემოქმედების საკითხებზე საზოგადოების უკეთესი ინფორმირების კუთხით. დაგეგმილ ორივე ჰესთან დაკავშირებით დავას პირველი ინსტანციის სასამართლოები განიხილავენ. ადგილობრივების ინტერესებს სასამართლოში EMC წარმოადგენს. ადგილობრივების და ექსპერტების შეფასებებთან დაკავშირებით EMC-იმ მოამზადა არაერთი ვიდეო და სამართლებრივი შეფასების დოკუმენტი.



ვიდეო – ჰესების მშენებლობა

საანგარიშო პერიოდში EMC ასევე აქტიურად იყო ჩართული პანკისის ხეობის განვითარების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვაში და ადგილობრივი აქტივისტების მონაწილეობით მოამზადა რეკომენდაციების პაკეტი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის.

ამ მიმართულებით მომზადდა:

-  კვლევა – უსაფრთხოების მხერის ქვეშ: ისტორია, პოლიტიკა და რელიგია პანკისის ხეობაში
-  ანალიტიკური დოკუმენტი – პანკისში დაგეგმილი ჰესების ეკოლოგიური დასკვნის დოკუმენტების კრიტიკული ანალიზი
-  ანალიტიკური დოკუმენტი – ხადორი-3 ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის კრიტიკულ ანალიზი
-  ვიდეო – ჰესები პანკისში
-  ვიდეო – ჰესების მშენებლობა

საქართველოს აზერბაიჯელი თემის გამოწვევები

2019 წლიდან EMC სისტემურად მუშაობს ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელი თემის გამოწვევების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის გზების ძიების კუთხით. რეგიონის სოფლებში სავსე ვიზიტებისას, მოსახლეობასთან და თვითმმართველობის ორგანოებთან აქტიური მუშაობისას გამოვლინდა ის სისტემური პრობლემები, რაც არსებითად აფერხებს ადგილობრივი თემის ინტეგრაციის პროცესს და ამძაფრებს მის პოლიტიკურ და სოციალურ გარიყულობას.



EMC-ის შეხვედრა სოფელ სარალში

თემში ინტეგრაციის პოლიტიკის არასათანადოდ განხორციელება მეტწილად სახელმწიფო ენის პოლიტიკას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ყველა სკოლაში სახელმწიფო ენის სწავლება მიმდინარეობს და არსებობს ცალკეული სახელმწიფო პროგრამებიც, ისინი ვერ უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში სახელმწიფო ენის სათანადო შესწავლას, რაც ბარიერია არა მხოლოდ პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაციის, არამედ ხარისხიანი განათლების მიღების პროცესში. ადგილობრივი ახალგაზრდების განცხადებით, ისინი ისე ასრულებენ საჯარო სკოლას, რომ ქართულ ენაზე საუბარს ვერ ახერხებენ. ქვემო ქართლის რეგიონში მწვავედ დგას სკოლამდელი განათლების პრობლემა. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდ უმრავლესობაში, სადაც ძირითადად ეთნიკურად აზერბა-

იჯანელები ცხოვრობენ, არ არის საბავშვო ბაღები, რაც ინტეგრაციის და ენის ცოდნის პრობლემის საფუძველია.

ქართული ენის დომინაციის პოლიტიკის პრობლემურობა განსაკუთრებით შეინიშნება თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობისას. EMC-ს მიერ ორგანიზებული სავსე კვლევისას გამოვლინდა, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის დიდი ნაწილი არ მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოებს პრობლემების გადაწყვეტის მოთხოვნით. ენობრივი ბარიერის გამო მათთვის ორმაგად გართულებულია ინფორმაციის გამოთხოვა საჯარო დაწესებულებებიდან. EMC მხარდაჭერით, ქალაქ მარნეულსა და ბოლნისში მცხოვრები ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფებმა მიმართეს ადმინისტრაციულ ორგანოებს ინტერნეტ სივრცეში (ოფიციალურ ვებ-გვერდებსა და სოციალურ



ვიდეო – ენა და პოლიტიკური გაუცხოება საქართველოს აზერბაიჯანელ თემში

ქსელებში) განთავსებული ინფორმაციის ადგილობრივ ენაზე თარგმნის მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ EMC-ისა და ადგილობრივი აქტივისტების აქტიური ადვოკატირების შედეგად, მარნეულის მერიამ ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას ორ ენაზე გამოქვეყნების პრაქტიკა განაახლა. გარდა ამისა, EMC-მ ადგილობრივი აქტივისტების სახელით, სარჩელით მიმართა სასამართლოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნის, მოსახლეობის მიერ აზერბაიჯანულ ენაზე განცხადების მიღებისა და გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის თარგმნის მოთხოვნით.

ენის პოლიტიკის მიღმა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება თემის პოლიტიკური მონაწილეობის და მუნიციპალურ დონეზე ჩართულობის სუსტი მექანიზმების პრობლემა.

ქვემო ქართლის აზერბაიჯანელთა ცხოვრებას და ინტეგრაციას კიდევ უფრო ართულებს აქ არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობა. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საარსებო წყაროს იკარით ალებულ მიწებზე დღიურ მუშად მუშაობით შოულობს. მათ საკუთარი მიწები არ გააჩნიათ ვინაიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ სასოფლო-სამეურნეო მიწების გადანაწილება მოსახლეობაზე მოხდა არასამართლიანად, რამაც სოფლებში არსებული ოჯახების დიდი ნაწილი მიწის გარეშე დატოვა. ენობრივი ბარიერის გამო, მოსახლეობის უმეტესობას არასდროს გაუსა-

ჩივრებია მიწების არასათანადოდ გადანაწილების საკითხი. სოფლების დიდ ნაწილში პრობლემურად დგას სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების ჯეროვანი ფუნქციონირება.

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლების მნიშვნელოვან გამოწვევას კულტურული საჯარო სივრცეების არ არსებობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის არაჯეროვანი მუშაობა წარმოადგენს, რაც დამატებითი ბარიერია ადგილობრივი თემის საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის კუთხით.

არსებული სოციალური და პოლიტიკური გამოწვევები კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწევბათ ქალებს, რომლებიც საერთო ჩაგვრასთან ერთად, გენდერული ნიშნით გარიყულობასაც განიცდიან.

საყურადღებოა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო კულტურის დომინაციის თვალშისაცემი პრაქტიკა, რომელიც ადგილობრივი კულტურის პოლიტიკაში ნათლად ჩანს, მათ შორის, ადგილობრივი დღესასწაულების გადანერის, უმცირესობების კულტურის სუსტი რეპრეზენტაციის მექანიზმებით.

ხაზი უნდა გაესვას 1+4 პროგრამის მნიშვნელოვან სოციალურ შედეგებს, რაც, მათ შორის, ჩანს რეგიონში ახალგაზრდა, კარგი განათლების მქონე აქტივისტების უნიკალური რესურსის შექმნაში, რომლებიც პოლიტიკური თვითგამორკვევის და ორგანიზების საინტერესო გამოცდილებებს ქმნიან.



საანგარიშო პერიოდში EMC ცდილობდა რეგიონში ემუშავა რამდენიმე ინსტრუმენტით. პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ორგანიზაციას ყავს ადგილობრივი იურისტი, რომელიც რეგულარულად მუშაობას მარნეულში და ცდილობს ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მოსახლეობის სამართლებრივ მხარდაჭერას. EMC-იმ 1 წლის განმავლობაში დეტალურად შეისწავლა მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული მდგომარეობა და მოამზადა ამ ტერიტორიებზე კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის შესახებ ანგარიშები. ამასთან, ადგილობრივ აქტივისტებთან ერთად EMC ცდილობდა თვითმმართველობის დონეზე დაეყენებინა მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევები, ადგილობრივების საჭიროებები და წუხილები. ამ მიზნით EMC აქტიურად იყო ჩართული ბიუჯეტის შემუშავების პროცესში და ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებთან ერთად წარადგინა საბიუჯეტო წინადადებებიც. EMC რეგიონში რეგულარულად აორგანიზებს მობილური კლინიკებს სოფლებში, სადაც სამართლებრივ კონსულტაციასთან ერთად, ადგილობრივ მოსახლეობას კონსულტაციებს სოციალური მუშაკი და ექიმი აძლევს.

საანგარიშო პერიოდში EMC-იმ ასევე მოამზადა პრაქტიკული სახელმძღვანელო ეთნიკური უმცირესობების უფლებების და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესახებ, რომელიც ითარგმნა რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე.



ამ მიმართულებით მომზადდა:



პრაქტიკული სახელმძღვანელო – ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა



ანალიტიკური დოკუმენტი – რეკომენდაციების და ხედვების დოკუმენტი მარნეულის ადგილობრივი ხელისუფლებისთვის



ანალიტიკური დოკუმენტი – მარნეულის კულტურის ცენტრის პოლიტიკის შეფასება



ანალიტიკური დოკუმენტი – ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების და გამოწვევების შეფასების ზოგადი დოკუმენტი



განცხადება – საბიუჯეტო წინადადებები მარნეულის მუნიციპალიტეტისთვის



ბლოგი – „სკოლამდე“



ვიდეო – ენა და პოლიტიკური გაუცხოება საქართველოს აზერბაიჯანელ თემში



ბლოგი – მუშების ბაზრობა



ვიდეო – ადრეული ქორწინება – რას ფიქრობენ აზერბაიჯანელი ქალები?



სტატია – აზერბაიჯანელი მუშა ქალების პრეკარიული ყოფა



სტატია – დმანისობა – გადანერგილი დღესასწაული და კულტურული დომინაციის მექანიზმი



კვლევა – იდენტობის პრობლემატიკა ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებში და მისი პოლიტიკური და სოციალური განზომილებები



ანგარიში – რელიგიური უმცირესობების დაცვა – ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში

კრიტიკული პოლიტიკის სკოლები და სოლიდარობის პლატფორმა

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი აქტივისტების მონაწილეობით EMC ორგანიზებას უწევდა კრიტიკული პოლიტიკის სკოლებს მარნეულსა და პანკისში, რომლის მიზანია ქვემო ქართლსა და პანკისში ადგილობრივი აქტივისტების მონაწილეობით კრიტიკული ცოდნის, დიალოგის და კოლექტიური ქმედების პლატფორმების შექმნას. პროექტში დაგეგმილი სამუშაოების მიზანი კრიტიკული თეორიული ცოდნის გაზიარების მიღმა, რეალობაზე რეფლექსირების და პოლიტიკური თვითგამორკვევის პროცესის ხელშეწყობაა.



კრიტიკული სკოლები პანკისსა და მარნეულში

კრიტიკული პოლიტიკის ფარგლებში ჩატარდა ლექციების და დისკუსიების ციკლი (თითოეულ სკოლაში 20-მდე) სოციალური სამართლიანობის საკითხებზე პოლიტიკის და სოციალური მეცნიერების, ასევე ისტორიის და ფილოსოფიის პრიზმიდან. ლექციების ციკლი წინასწარ შერჩეული მყარი ჯგუფისთვის იყო განკუთვნილი.

პანკისის ხეობაში და ასევე ქვემო ქართლში იკვეთება თვითგანსაზღვრისა და წინააღმდეგობის ცნობიერების საინტერესო პროცესი, რომელიც სხვა აქტივისტური ჯგუფებისგან სათანადო აღიარებას, დიალოგსა და თანამშრომლობას საჭიროებს.

რეგიონებში კრიტიკული პოლიტიკის სკოლების დასრულების შემდეგ, EMC დააორგანიზა კიდევ უფრო ფართე

მასშტაბიანი სოლიდარობის პლატფორმა, რომელიც რამდენიმე რეგიონიდან – აჭარა, პანკისი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და თბილისი, აქტივისტებს აერთიანებს და მათ შორის კავშირების გაძლიერების და კოლექტიური მხარდაჭერის მიზანი აქვს. ამ დროისთვის პლატფორმა 25 მდე ახალგაზრდა აქტივისტს აერთიანებს. სოლიდარობის პლატფორმა დამოუკიდებელი და თვითორგანიზებული სივრცეა და მისი განვითარება არსებითად მონაწილეების იდეებისა და ინტერესების მიხედვით დაიგეგმება.



რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული მდგომარეობა

რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით არსებული გამოწვევების დიდი ნაწილი (მათ შორის, დაფინანსების არსებული არასეფულარული და დისკრიმინაციული პრაქტიკა, რელიგიური უმცირესობების მიმართ რესტიტუციის პოლიტიკის არ არსებობა) კვლავ აქტუალური იყო მიმდინარე წელსაც. მეტიც, მიმდინარე წელს არა ერთხელ დადგა დღის წესრიგში რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებული საკანონმდებლო სტანდარტების და გარანტიების გაუარესებასთან დაკავშირებული ინიციატივები (მათ შორის, რელიგიის შესახებ სპეციალური კანონის მიღებასთან, მუსლიმი ქალების რელიგიური ატრიბუტიკის აკრძალვასთან, სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან არადომინანტური რელიგიების სასულიერო პირების გათავისუფლების წესის გაუქმებასთან დაკავშირებული ინიციატივები). აღნიშნული ინიციატივების შეჩერება მეტწილად რელიგიური ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე აქტორების ორგანიზებითა და ადვოკატირებით მოხერხდა.

მიმდინარე წელს ECRI-ის, FCNM-ის, ოსლოს კოალიციის, გაეროს და ევროკავშირის მიერ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის მეგი ნიკოლსონის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები უთითებენ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიმართ სუსტი ნდობის და ამ უწყების საქმიანობაში კონტროლსა და ფავორიტიზმზე დაფუძნებული მიდგომების პრობლემაზე. რელიგიური ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილის კრიტიკის და რეკომენდაციის მიუხედავად, მთავრობა, ამ უწყების გაუქმებას ან მისი მანდატისა და პოლიტიკის ტრასფორმაცია ამ დრომდე არ მოახდინა და ის კვლავ ცდილობს არსებული პრობლემური status quo შეინარჩუნოს.

მიმდინარე წელს საინტერესო დინამიკა გააჩნდა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის პროცესს. 2019 წლის 30 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ მეჩეთის მშენებლობის საქმეზე ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო და ახალი მეჩეთის მშენებლობაზე ბათუმის მერიის უარი დისკრიმინაციულად და უკანონოდ მიიჩნია. თუმცა, ბათუმის მერიამ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა და კვლავ პროცესის გაჭიანურების და შეფერხების სტრატეგია გამოიყენა. ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა ქართველი მუსლიმი თემის ისტორიული მოთხოვნაა და მის უკან ისლამის სუსტი პოლიტიკური და კულტურული რეპრეზენტაციის და მუსლიმების უფლებების არასათანადო აღიარებისა და დაცვის უკმაყოფილება დგას, თუმცა, მთავრობა ამ პრობლემას სათანადოდ არ პასუხობს და კვლავ იგნორირების მიდგომას ინარჩუნებს.



ფოტო: ჯემნუსი


მიმდინარე წელს კვლავ დადგა ადიგენში მუსლიმი თემის მძიმე უფლებრივი მდგომარეობის პრობლემა. სახელმწიფომ ადიგენის მუნიციპალიტეტში სოფელ კიკიბოსა და დერცელში მცხოვრები მუსლიმების კუთვნილი საძოვარი მიწები საპატრიარქოს უკანონოდ გადასცა. არსებული მიწა მუსლიმი გლეხებისთვის სასიცოცხლო რესურსია და მისი წარმთმევა მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ოჯახების ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. EMC-ის არა ერთი მცდელობის მიუხედავად, მოლაპარაკებების გზით პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა ვერ მოხერხდა. ამ ეტაპზე აღნიშნულ საქმეზე EMC დავას აწარმოებს სასამართლოებში. 2013 წელს სოფელ ჭელაში, 2014 წელს სოფელ მოხეში, 2016 წელს სოფელ ადიგენში გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტების შემდეგ, აღნიშნული საქმე კიდევ ერთხელ აჩვენებს ამ რეგიონში მუსლიმი თემის მძიმე უფლებრივ მდგომარეობას და სახელმწიფოს დროული და სისტემური ჩარევის აუცილებლობას.



ვიდეო – ადიგენის მოსახლეობა საპატრიარქოსთვის მიწების უკანონოდ გადაცემაზე საუბრობს

მიმდინარე წელს კვლავ გამოვლინდა ახალქალაქში კათოლიკური სალოცავის დაზიანების შემთხვევა, რომელიც წინა წლებში ამ რეგიონში გამოვლენილი მსგავსი ვანდალიზმის ფაქტებს აგრძელებს.

2019 წელს აჭარის მაღალმთიან რეგიონში კვლავ გამოვლინდა საჯარო სკოლებში რელიგიური ინდოქტრინაციის შემთხვევა სოფელ ქედაში ადგილობრივ რესურს-ცენტრში სკოლის დირექტორებისა და სხალთის ეპარქიის წარმომადგენლებს შორის დაგეგმილი შეხვედრის დროს, სკოლის დირექტორების მიერ გაკეთდა მძიმე განცხადებები მოსწავლეების „ძირძველ რელიგიაზე დაბრუნებისა და მოქცევის“ შესახებ.



ფოტო: საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

საანგარიშო პერიოდი კრიზისული იყო მართლმადიდებელი ეკლესიისთვისაც. საპატრიარქოს გავლენიანი სასულიერო პირების, მათ შორის, (ყოფილი) ქორეპისკოპოსი იაკობისა და ჭყონდიდის (ყოფილი) ეპისკოპოსის პეტრე ცაავას საჯარო განცხადებები ეკლესიის შიგნით მიმდინარე პროცესებზე ხელისუფლების შესაძლო გავლენებსა და ეკლესიის შიგნით ძალადობრივი და კანონიკურად მიუღებელი სექსუალური პრაქტიკის არსებობაზე უთითებდნენ. აღნიშნულ განცხადებებს არ მოჰყოლია სათანადო გამოძიება, საპატრიარქოს წიაღში გამოვლენილი კრიზისი კი შიდა რეფლექსიის და რეფორმის წინაპირობა ვერ გახდა. კრიტიკული

ეპისკოპოსების დასჯით სინოდმა არსებული status quo შეინარჩუნა და მძიმე ბრალდებების შესახებ განხილვა შეაჩერა.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში EMC ცდილობდა ხელი შეეწყო ეკლესიის დომინაციის და პოლიტიზირების პრობლემატიკის გარშემო უფრო მრავალმხრივი დისკუსიისთვის. ამ მიზნით EMC ორგანიზებით გაიმართა დისკუსიების ციკლი თემაზე: „რელიგია და მისი სოციალური განზომილებები – ხელახალი წაკითხვის მცდელობა“. დისკუსიის მიზანი იყო სასულიერო პირებსა და სამოქალაქო ჯგუფებს შორის უშუალო დიალოგისა და ფიქრის ნახალისება თანამედროვეობაში რელიგიის საჯარო, სოციალურ როლზე და ამ დისკუსიის უშუალოდ ქართულ რეალობაში კონცეპტუალიზება. დისკუსია მეტწილად მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებისთვის და რელიგიის და პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე მკვლევარებისთვის იყო გათვალისწინებული. დისკუსიების საპატიო სტუმარი და მომხსენებელი იყო ზურა ჯაში, რომელიც მიუნსტერის მართლმადიდებლური თეოლოგიური ფაკულტეტის დოქტორანტია. შეხვედრების ფარგლებში მან მოხსენებები წაიკითხა შემდეგ თემებზე:

- ▶ „სოციალური სამართლიანობის იდეა და მოღვაწეობა ადრეული ხანისა და თანამედროვე მართლმადიდებელ ეკლესიებში“;
- ▶ „პიროვნების თავისუფლების გაგება ადრექრისტიანულ ღვთისმეტყველებაში“;
- ▶ „მოდერნულობა და საეკლესიო ტრადიცია“

შეხვედრის ფარგლებში საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს სხვა მომხსენებლებმაც,

მათ შორის:

- ▶ მამა გიორგი წეროძე, თემაზე: პიროვნულობის თეოლოგია;
- ▶ შოთა კინწურაშვილი, თემაზე: დასავლეთის ეკლესიის სოციალურ სწავლების განვითარებაზე თუ გათავისუფლების თეოლოგიაზე;
- ▶ გიორგი ხასაია, თემაზე: ნუგეშის წარმოება და მისი შედეგები – ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კრიზისის შესახებ;
- ▶ ქეთი რჩეულიშვილი, თემაზე: მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება და დასავლური სოციალური თეორია;
- ▶ ლუკა ნახუცრიშვილი, თემაზე: რელიგია მოდერნულობის ფარგლებში – თანამედროვე ქართული სინამდვილის რამდენიმე ასპექტის შესახებ.

მიმდინარე პერიოდში EMC აქტიურად მუშაობდა რელიგიის თავისუფლების მდგომარეობის ანგარიშზე და კვლევებზე და ამ კუთხით რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა მოამზადა, მათ შორის, შემდეგ საკითხებზე:

- ▶ აჭარაში ისლამის პოლიტიკური და სოციალური რეპრეზენტაციის საკითხებზე; ქვემო ქართლში კულტურული დომინაციის პრაქტიკა;
- ▶ მაღალმთიან აჭარაში განათლების პოლიტიკა და მისი სოციალური ასპექტი; რესტიტუციის პრაქტიკა და ქართული კონტექსტი;
- ▶ რელიგიის შესახებ სპეციალური კანონი და მისი პოლიტიკური და უფლებრივი განზომილება;
- ▶ საჯარო სკოლები და რელიგიის სწავლების საკითხები;
- ▶ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის ანალიზი;
- ▶ საჯარო სივრცე და რელიგიური ატრიბუტების გამოყენების საკითხები.

აღნიშნული ანგარიშს EMC მომავალ წელს გამოაქვეყნებს.

ამასთან, რელიგიის თავისუფლების და რელიგიური დისკრიმინაციის საქმეებზე, EMC აქტიურად აწარმოებდა სამართლებრივ დავებს ეროვნულ სასამართლოებში.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს EMC ასევე დაიწყო აქტიური მუშაობა აჭარის მაღალმთიან რეგიონში და ყავს მუდმივი წარმომადგენელი რეგიონში. საანგარიშო პერიოდში EMC ცდილობდა შეეგროვებინა ინფორმაცია ხულოსა და ქედაში ადგილობრივი თემის უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის შესახებ

და გამოვლენილი გამოწვევების შესახებ ადვოკატირების პროცესი დაეწყო შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან.

ამ მიმართულებით მომზადდა:



განცხადება – გადაწყვეტილება ბათუმის მეჩეთის საქმეზე



განცხადება – საჯარო სკოლების რელიგიური ინდოქტრინაციის პრაქტიკა მაღალმთიან აჭარაში



ბლოგი – ეკლესიის კრიზისის რამდენიმე პოლიტიკური ასპექტი



ფოტო – დისკუსიების ციკლი თემაზე: „რელიგია და მისი სოციალური განზომილებები – ხელახალი წაკითხვის მცდელობა“



სტატია – მიწა, რომლითაც ადიგენში მუსლიმი მოსახლეობა სარგებლობდა, საპატრიარქოს გადაეცა



ვიდეო – სოფელ კიკიბოსა და დერცელში მუსლიმების კუთვნილი საძოვრები საპატრიარქოს გადასცეს



ვიდეო – ძამას ხეობაში საპატრიარქოს დომინაციის სოციალური შედეგები



თვალსაზრისი – მუსლიმი ქალების ტრადიციული თავსაბურავების შეზღუდვის პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა სტანდარტები



ანალიტიკური დოკუმენტი – ისლამის ისტორია აჭარაში, ავტორი რუსლან ბარამიძე



დისკუსიების ციკლი თემაზე: „რელიგია და მისი სოციალური განზომილებები – ხელახალი წაკითხვის მცდელობა“.

ლგბტქი ადამიანთა უფლებების უხეში დარღვევები

მიმდინარე პერიოდი განსაკუთრებით მწვავე იყო ლგბტქი ადამიანებისთვის. 2019 წელს ადგილი ჰქონდა ლგბტქი ადამიანების მიმართ ძალადობის, ძალადობისკენ მოწოდებისა და მათი უფლებების განხორციელების ხელშეშლის მძიმე შემთხვევებს, რომელიც მეტწილად ორგანიზებული ძალადობრივი ანტიდემოკრატიული ჯგუფების მიერ იყო ჩადენილი. არსებულ ძალადობრივ ჰომოფობიურ პრაქტიკას სახელმწიფო არ დაუპირისპირდა არც ეფექტიანი პრევენციული და სამართალდაცვითი მიდგომებით და არც თანასწორობასა და ადამიანის უფლებების განუხრელ პატივისცემაზე დაფუძნებული რიტორიკით. მეტიც, მოქმედი ანტიდემოკრატიული ჯგუფების საქმიანობის ისტორია და აქტიური მონაწილეობა ანტისახელისუფლებო პროტესტების წინააღმდეგ, აჩენს რისკებს, რომ ამ ჯგუფებს ხელისუფლება პოლიტიკურად იყენებს და გარკვეულ იმუნიტეტსაც აძლევს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის მიმართ სახელმწიფოს კანონმდებლობისა (მათ შორის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში პოზიტიური ცვლილებები) და ინსტიტუციური მიდგომების პოზიტიური ცვლილება, ლგბტქი ადამიანებთან დაკავშირებული საკითხები კვლავ პოლიტიზებულია და მათ არ ეძლევათ საკუთარი უფლებებით სხვებთან თანასწორად სარგებლობის შესაძლებლობა. პრობლემატურია ის გარემოებაც, რომ პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მისი დღის წესრიგიდან სრულად გამორიცხა ჰომოფობიის და ლგბტ ქალების უფლებების დაცვის მიმართულებით მუშაობა.

მიმდინარე ინსტიტუციურ რეფორმებთან კავშირში პოზიტიურად უნდა აღინიშნოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიგნით სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის პოლიტიკის გაუმჯობესება და სათანადო ინსტიტუციონალიზების მცდელობა (კოორდინაციისა და მონიტორინგის მქონე სპეციალური სამმართველოს შექმნა შსს-ში), თუმცა, წარსულში მომხდარი დანაშაულების და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და სენსიტიურობის მქონე საქმეების ეფექტიანი გამოძიების პრობლემა კვლავ პრობლემატურად რჩება. ზოგიერთ აშკარად ჰომოფობიური ძალადობის გამოძიების პროცესში გამოჩნდა „ორივე მხარის“ დადანაშაულების და ლგბტ ადამიანების თვითნებური დევნის მიდგომა. ამასთან შსს-ს სისტემაში არსებითად გასაძლიერებელია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციის და მსხვერ-

პლის სათანადო დაცვაზე მიმართული სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭო (მათ შორის, ECRI, მინისტრთა კომიტეტი, რომელიც იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ საქმეზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგს ახდენს) საქართველოს მთავრობას მოუწოდებს პოლიციის შიგნით შექმნას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისა და უშუალოდ რეაგირების მანდატის მქონე სპეციალური სამსახურები.

სახელმწიფო კვლავ ვერ უზრუნველყოფს ლგბტქი ადამიანების შეკრების თავისუფლების დაცვას და ღიად ახდენს მათი უფლებების უგულვლყოფას. 2012 და 2013 წლებში 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღეს ლგბტქი ადამიანების მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევა სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების გარეშე დარჩა. ასევე რეაგირების გარეშე დარჩა 2019 წლის ივნისის თვეში ორგანიზაცია „თბილისი პრაიდისა“ და მათი მხარდამჭერების მიმართ განხორციელებული ძალადობრივი აქტები. სახელმწიფომ ასევე ვერ უზრუნველყო 2019 წლის ნოემბერში ანტიდემოკრატიული ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან მომდინარე შუღლის გაღვივებისკენ მიმართუ-





ფოტო: ნეტგაზეთი

ლი ძალადობრივი აქტები, რომელიც ფილმის „And then we danced“-ის ჩვენებას უკავშირდებოდა. ულტრაკონსერვატიული ჯგუფების ლიდერების მიერ გაკეთებული აშკარად ძალადობრივი მოწოდებები და ძალადობრივი ჯგუფების ორგანიზება, არ გახდა მათ მიმართ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების წინაპირობა.

ხელისუფლება სათანადოდ არ იაზრებს ჰომოფობიის მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ შედეგებს და არ დგამს მისი დაძლევისთვის საჭირო სისტემურ ნაბიჯებს, რომელიც განათლების, საჯარო მოხელეებისა და პროფესიული წრეების ცოდნისა და მგრძნობელობის ცვლილება-სა და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული საჯარო როტირიკის გაძლიერებას საჭიროებს.

ამ მიმართულებით მომზადდა:



განცხადება - საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მონიტორინგის დასკვნა გამოაქვეყნა



განცხადება - „კოალიცია თანასწორობისთვის“ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს ეხმიანება



განცხადება - „კოალიცია თანასწორობისთვის“ საქართველოს მთავრობას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართავს



განცხადება - ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები 14 ივნისსა და 16 ივნისს განვითარებულ მოვლენებს ეხმიანებიან



განცხადება - EMC შსს-ს ძალადობრივი ჯგუფების მუქარაზე ადეკვატური რეაგირებისკენ მოუწოდებს



განცხადება - EMC 8 ნოემბრის მოვლენებს ეხმიანება



კვლევა - ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე - საკანონმდებლო ხარვეზები და პოლიტიკის გამოწვევები

ქვიარ აქტივიზმი


EMC მხარს უჭერს მემარცხენე ქვიარ და ფემინისტური აქტივიზმის განვითარებას საქართველოში კრიტიკული აქტივისტების რეფლექსიისა და თვითორგანიზების პროცესის ხელშეწყობის გზით. აღნიშნული მიზნით, EMC-მ შექმნა კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმა, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ და აკადემიურ პროგრამას სოციალური სამართლიანობითა და ქვიარ და ფემინისტური პოლიტიკით დაინტერესებული ახალგაზრდა აქტივისტებისა და მკვლევარებისთვის, მისი მთავარი მიზანია შექმნას კრიტიკული ცოდნის გაზიარების, კოლექტიური მსჯელობისა და საერთო მოქმედების სივრცე.

კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმა ლოკალურ და გლობალურ დონეებზე გაჩენილი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კრიზისების და სოციალურ კონფლიქტების სტრუქტურული მიზეზების რეფლექსიის მცდელობას წარმოადგენს და მას ახალგაზრდა მკვლევარებსა და აქტივისტებში კრიტიკული ცოდნის წარმოების პარალელურად, კოლექტიური ბრძოლის პრაქტიკის გადააზრებისა და შექმნის მიზანაც აქვს.

პლატფორმა 2018 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის ივნისამდე მიმდინარეობდა წინასწარ დადგენილი სილაბუსის საფუძველზე. პლატფორმაზე სხვადასხვა ცოდნისა და გამოცდილების მქონე სულ 18-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. პლატფორმის მონაწილეებისთვის პროექტი ითვალისწინებს მცირე გრანტების გაცემას ალტერნატიულ დღის წესრიგზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებისთვის.

მემარცხენე ქვიარ და ფემინისტური აქტივიზმისა და ცოდნის გაზიარებისა და კრიტიკული რეფლექსიის მხარდაჭერის კუთხით მნიშვნელოვანი იყო EMC-ის მიერ გამოცემული თარგმანებისა და სტატიების კრებული 2019 წელს. EMC-მ თარგმანების ორი კრებული გამოუშვა ქვიარ, ფემინისტურ და უფრო ფართოდ, სექსუალობასთან დაკავშირებით მემარცხენე, დეკოლონიზისტური და ქვიარ თეორიტიკოსების ავტორობით.

სტატიების კრებული „დედობა, სექსუალობა და რეპროდუქციული სამართლიანობა“ აერთიანებს 7 ავტორს, რომელიც ადგილობრივ კონტექსტზე დაყრდნობით განიხილავს სექსუალობის, ბიოპოლიტიკის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და სამართლიანობის საკითხებს.





ტრენინგი ჟურნალისტებისთვის, 2-3 ნოემბერი, 2019



გარდა რადიკალურ სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული აქტივისტური დღის წესრიგის საგანმანათლებლო პროცესით მხარდაჭერისა, EMC ცდილობს ხელი შეუწყოს ლგბტკი არასამთავრობო ორგანიზაციებს და ასევე ქვიარ აქტივისტებს შორის აქტიურ დიალოგს დემოკრატიული, ინკლუზიური დღის წესრიგის ნახალისების საშუალებით. აღნიშნული მიზნით, EMC-მ 2019 წლის აპრილში გასვლითი 3 დღიანი შეხვედრა გამართა ლგბტკი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ქვიარ აქტივისტებისა და მხარდამჭერი ადგილობრივი ფონდების უშუალო მონაწილეობით არსებული კრიზისებისა და წარსული გამოცდილებების გადააზრებისა და სამომავლო პერსპექტივების უკეთ დასახვისთვის, დემოკრატიულ, დეცენტრალიზებულ და ჩართულობაზე დაფუძნებული სამომავლო თანამშრომლობისათვის.

2019 წლის 2-3 ნოემბერს EMC-ს ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა ჟურნალისტებთან თემაზე: „სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები – ლგბტკი ჯგუფზე ფოკუსით“.

ამ მიმართულებით მომზადდა:



I თარგმანების კრებული



II თარგმანების კრებული



სტატიების კრებული

ლგბტკი ადამიანების სოციალური ექსკლუზიისა და მოწყვლადობის კვლევა

საანგარიშო პერიოდში EMC დაიწყო მუშაობა ლგბტკი ადამიანების სოციალური ექსკლუზიისა და მოწყვლადობის პრაქტიკებზე, რომელიც რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მიდგომებს აერთიანებს და მისი მიზანია ლგბტკი ადამიანების სოციალური გარიყულობისა და დაუცველობის ყოველმხრივი აღწერა და სახელმწიფო პოლიტიკის ხარვეზების კრიტიკული მი-

მოხილვა. საბოლოოდ, ანგარიშის მიზანია რელევანტური სახელმწიფო უწყებებისთვის, დონორი და სათემო ორგანიზაციებისთვის რეკომენდაციების პაკეტის მომზადება და მისი ადვოკატირება. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა კვლევის მეთოდოლოგია და რაოდენობრივი კვლევის კითხვარი, განისაზღვრა მკვლევარების გუნდი და დაიწყო მუშაობა რესპონდენტებთან.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე უფლებრივი მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით პრობლემურად დადგა ახალგორში მცხოვრები ადამიანების მძიმე უფლებრივი მდგომარეობა და ჰუმანიტარული კრიზისი. 2019 წლის 4 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის de facto ხელისუფლებამ მოსაბრუნის (ე.წ. რაზდახანის) გამშვები პუნქტის ჩაკეტა, რამაც ახალგორში მცხოვრები ქართველი და ასევე ოსი მოსახლეობისთვის მძიმე სოციალური და ჰუმანიტარული მდგომარეობა შექმნა. საზღვარი ამ დრომდე ჩაკეტილია. იზოლაციის პირობებში ადგილობრივებს ერთმევათ წვდომა სათანადო სამედიცინო სერვისებზე, პენსიებზე და საკვებზე. ისინი მოსწყდნენ საკუთარ ოჯახებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ და სრულ იზოლაციაში მოექცნენ, განსაკუთრებით მოხუცები. ახალგაზრდებს შეეზღუდათ განათლების მიღების უფლება. ცხინვალში სათანადო სამედიცინო სერვისების არ ქონის გამო, დაფიქსირდა რამდენიმე ადამიანის გარდაცვალების ტრაგიკული ფაქტი. აღსანიშნავია, რომ 2 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის de facto რეჟიმმა ახალგორთან ჩაკეტილი საზღვარზე რეჟიმი შეარბილა და მძიმე ავადმყოფებს და პენსიონერებს სპეციალური სიებით გადმოსვლის შესაძლებლობა მისცა. თუმცა, ეს გადანაცვები ადამიანების შეზღუდულ წრეს ეხება და ადგილობრივების დიდი ნაწილი კვლავ მნიშვნელოვანი სოციალური გამოწვევების წინაშე რჩება.

შექმნილი კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა 2019 წლის 9 ნოემბერს ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავების ფაქტით, რომელიც ამ დრომდე ცხინვალის საპატიმრო დაწესებულებაში რჩება. ცხინვალის de facto რეჟიმის მხრიდან ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავშირება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან და ექიმის მხრიდან სამხრეთ ოსეთის ე.წ. საზღვრების არალიარებაზე ხაზგასმას, აჩენს რისკებს, რომ საქმეს პოლიტიკური კონოტაცია მიეცეს, რაც დაკავებულის მიმართ არასათანადო მოპყრობისა და ხანგრძლივი პატიმრობის რისკებს ზრდის.

უნდა ითქვას, რომ ადამიანის უფლებებზე მომუშავე აქტორების არა ერთი რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ ახალგორში შექმნილი მძიმე მდგომარეობის საპასუხოდ დროებითი ღონისძიების (ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის) გამოყენების მოთხოვნით არ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და მეტწილად პოლიტიკური და დიპლომატიური მექანიზმების გამოყენებით შემოიფარგლება, რომელსაც მნიშვნელოვანი შედეგი ამ დრომდე არ მოჰყოლია.

მთელი წლის განმავლობაში პრობლემურად იდგა სამხრეთ ოსეთის de facto რეჟიმის მხრიდან ახალგორში მცხოვრები თამარ მეარაყიშვილის დევნის საქმე. ადგილობრივი სასამართლოების მხრიდან თამარ მეარაყიშვილის მიმართ გამოძიების არა ერთხელ შეჩერების მიუხედავად, de facto პროკურატურა გამოძიებას აახლებს და ახალ დავას იწყებს. თამარ მეარაყიშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდების დაუსაბუთებლობა და შინაარსი, მის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლებრივი დევნის პოლიტიკურ ხასიათს აჩვენებს. თამარ მეარაყიშვილის მითითებით, საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო ფორმატებში სათანადო ძალისხმევას არ წევს მისი საქმის დაყენებისა და მხარდაჭერის მოპოვების მიზნით.

ამ მიმართულებით მომზადდა:

-  განცხადება - EMC ახალგორში შექმნილ ჰუმანიტარულ კრიზისს ეხმიანება
-  განცხადება - ვაჟა გაფრინდაშვილის საქმეზე ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები ევროპის საბჭოს ინსტიტუტებს მიმართავენ
-  განცხადება - EMC ახალგორელი აქტივისტის, თამარ მეარაყიშვილის წინააღმდეგ დევნისა და შევიწროების საქმეს აფასებს



სტრატეგიული სამართალწარმოება

- ▶ თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმე – ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმე წარმოადგენს, რომელმაც კიდევ ერთხელ აჩვენა პანკისის ხეობაში სახელმწიფოს რეპრესიული პოლიტიკის პრობლემა. აღნიშნულ საქმეში თბილისის პროკურატურის წინაშე EMC დავობს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სპეცოპერაციის ჩატარების პროცესში თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ გამოყენებული იქნა არააუცილებელი და არაპროპორციული ძალა. პროკურატურას ამ დრომდე არ მიუღია საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება და არც ბრალეულ პირები გამოკვეთილა. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, EMC-იმ მიიჩნია, რომ თბილისის პროკურატურაში მიმდინარე გამოძიება არაეფექტიანია და ვერ უზრუნველყოფს დარღვეული უფლების აღდგენას, რის გამოც, ორგანიზაციამ 6 ივნისს ევროპულ სასამართლოში მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრების სახელით განაცხადი წარადგინა. განაცხადში EMC მიუთითებს ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება), მე-3 მუხლის (წამების, არაადამიანური და ღირსებისშემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) და 13-ე მუხლის (უფლება ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის შიდა საშუალებებზე) საგარეოდ დარღვევაზე. EMC ეროვნულ დონეზე თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმეციის დარღვევაზეც დავობს და ამტკიცებს, რომ 2017 წლის 26 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა თემირლან მაჩალიკაშვილი მტკიცებით ფორმაში დამნაშავედ (ტერორისტული დანაშაულის ჩამდენად) მოიხსენია. დავას ამჟამად, თბილისის სააპელაციო სასამართლო განიხილავს. ეროვნულ დონეზე აღნიშნული დავის დასრულების შემდეგ, ამ ნაწილში ორგანიზაცია ასევე წარადგენს განაცხადს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში თემირლან მაჩალიკაშვილის მამა ცდილობს სამოქალაქო პროცესტის ფორმების გამოყენებას მისი შვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე სამართლის დასადგენად, თუმცა, სახელმწიფო უწყებების მხრიდან ის ძირითადად არაღიარების და იგნორირების მიდგომას აწყდება. მათ შორის, მან მიმართ პარლამენტს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით, რასაც საპარლამენტო უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა.
- ▶ ჰუსეინ მაჩალიკაშვილის საქმე – მორის მაჩალიკაშვილი 1 წელზე მეტია შვილმკვდარი ბიძის, მალხაზ მაჩალიკაშვილის გვერდით დგას და ქუჩის აქციების და პროტესტის მძიმე პირობებში მის მხარდაჭერას და დაცვას ცდილობს. 2019 წლის 20 ივნისს ანტისაოკუპაციო აქციის დროს ის ასევე იმყოფებოდა აქციაზე მისი ბიძის გვერდით და მის დაცვას ცდილობდა. მიმდინარე წლის 26 ივლისს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ მორის მაჩალიკაშვილი დააკავეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. საგამოძიებო ორგანო მორის მაჩალიკაშვილს 20-21 ივნისს პარლამენტის წინ გამართული საპროტესტო აქციის დროს ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას ედავება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით. პროკურატურის მტკიცებით, მორის მაჩალიკაშვილი იმყოფებოდა პარლამენტის წინ და სხვა პირებთან ერთად ძალადობდა პოლიციელებზე, ურტყამდა მათ და მონაწილეობდა სხვა ძალადობრივ ქმედებებში. ჰუსეინ მაჩალიკაშვილის ინტერესებს EMC იცავს. ორგანიზაციის შეფასებით, პროკურატურის მიერ ბრალის ამგვარი ფორმულირების მიუხედავად, ამ ეტაპზე წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები ვერ ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს იმის თაობაზე, რომ მორის მაჩალიკაშვილი მონაწილეობდა ჯგუფურ ძალადობაში, მით უფრო, თავს ესხმოდა ადგილზე მყოფ პოლიციის თანამშრომლებს. მორის მაჩალიკაშვილის საქმეზე პროკურატურის მიერ წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: 1. ერთ ვიდეო ჩანაწერს 2. პოლიციის თანამშრომლის მიერ შედგენილ ე. წ. პატაკს; 3. პოტენციურ მონშეთა გამოკითხვის ოქმებს, რომელიც საერთოდ არ აქვს რაიმე შემხებლობა მორის მაჩალიკაშვილის საქმესთან.
- ▶ სოფელ კიკიბოსა და დერცელში მცხოვრები მუსლიმების საძოვრების საპატრიარქოსთვის უკანონოდ გადაცემის საქმე – 2018 წლის ბოლოს სოფელ კიკიბოსა და დერცელის მოსახლეებმა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართეს მათი ოჯახებისთვის 1990 და 2000-იან წლებში სახელმწიფოს მიერ გადაცემული ნაკვეთების რეგისტრაციის მიზნით, რომელიც კიკიბოს შემადგენლობაში შემავალ მცირე დასახლებებში, ქვაბიჭვარში (რომელიც ამჟამად დაცლილია მოსახლეობისგან) მდებარეობს. თუმცა, აღმოჩნდა, რომ მიწის ნაკვეთები, რომლებსაც ოჯახები წლების განმავლობაში მართლზომიერად ფლობდნენ და საძოვრად და სათიბად კოლექტიურად იყენებდნენ, 2018 წლის ოქტომბრიდან საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში იყო რეგისტრირებული. 2018 წლის ივნისში მითითებულ მიწის ნაკვეთებზე საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა სახელმწიფოს საკუთრების უფლება დაახლოებით 7 ჰა (68 346 კვ.მ) მიწის ნაკვეთზე. ხოლო ამავე წლის ოქტომბერში ეს ნაკვეთი სამეურნეო მიზნებისთვის მთავრობამ საქართველოს ეკლესიას უსასყიდლოდ გადასცა. ამ პროცესში სახელმწიფომ სრულიად უგულებელყო ის ფაქტი, რომ ამ უძრავი ქონების მიმართ ადგილობრივ მოსახლეობას გააჩნდა სასიცოცხლო ეკონომიკური და სოციალური ინტერესი და საკუთრების უფლების

ან/და მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი კანონით განსაზღვრული დოკუმენტები. სსიპ სახელმწიფო ქონების სააგენტომ დაარღვია კანონის მოთხოვნა და ნაკვეთები საპატრიარქოს დაინტერესებული პირების მონაწილეობის გარეშე გადასცა. EMC-იმ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის სახელით, სახელმწიფო საკუთრებაში სადავო უძრავი ქონების ეკლესიისათვის გადაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები სასამართლოში გაასაჩივრა. ახალციხის რაინულმა სასამართლომ ჩვენი სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ეს გადაწყვეტილება ამ ეტაპზე გასაჩივრებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

- ▶ თანდოიანცის ეკლესიის საქმე – ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზ. N38-ში მდებარეობს „თანდოიანცის სურბ ასტვანწანის“ (თანდოიანცის წმინდა ღვთისმშობლის) ეკლესია, რომელიც სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელ წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ისტორიული ძეგლია. 2017 წლის დეკემბერში ეპარქიამ შემთხვევით შეიტყო, რომ ეკლესია, ქონების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა და საჯარო რეესტრმა მასზე საპატრიარქოს საკუთრების უფლება დაარეგისტრირა. აღნიშნულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, ეპარქიის სახელით, EMC და TDI თბილისის საქალაქო სასამართლოში ორ დამოუკიდებელ სამართალწარმოებას ახორციელებენ : 1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და 2. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის მოთხოვნით. 2018 წელს ორივე საქმესთან დაკავშირებით გაიმართა რამდენიმე სასამართლოს სხდომა, განხილულ იქნა არსებითი ხასიათის შუამდგომლობები სარჩელის დაუშვებლად ცნობის, საქმის წარმოების შეწყვეტისა და საქმეთა გაერთიანების მოთხოვნით.
- ▶ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმე – მიმდინარე წელს კვლავ ვერ გადაიჭრია ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი. 2017 წელს ბათუმის მერიამ დისკრიმინაციული საფუძველით არ გასცა მეჩეთის მშენებლობის ნებართვა და საქმეს ამჟამად ბათუმის საქალაქო სასამართლო განიხილავს. სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარეებს განესაზღვრათ მორიგების ვადა, რის გამოც რამდენჯერმე შედგა ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდისა და ბათუმის მერის შეხვედრა. თუმცა, შეთანხმება ვერ შედგა, რამდენადაც ბათუმის მერია უთითებდა, რომ იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ახალი მეჩეთის მშენებლობა: 1. ა(ა)იპ ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა სასამართლოდან უნდა გამოიხმოს სარჩელი; 2. ფონდმა მეჩეთის ასაშენებლად შეძენილი მიწის ნაკვეთი საკუთრებაში უნდა გადასცეს სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, რომელიც შემდგომ მიმართავს ქალაქის მერიას მეჩეთის მშენებლობის ნებართვის მისაღებად. სამუფტო სამართველოსთვის მეჩეთის გადაცემის საკითხი კატეგორიულად მიუღებელია მუსლიმი თემისთვის, რამდენადაც სახელმწიფოს მიერ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ინსტრუმენტალიზების პოლიტიკის პირობებში, საზოგადოების ნდობა სამმართველოსა და ხელისუფლების მიმართ შესუსტებულია. ფონდი მუსლიმი თემის პირდაპირი მხარდაჭერით და ნდობით შეიქმნა და გადაწყვეტილებებს დემოკრატიული წესით, კონსენსუსის საფუძველზე იღებს. შესაბამისად, ფონდმა შეხვედრის ფარგლებში განუმარტა მერიას, რომ მისთვის ისეთი ხასიათის შეთავაზება, რომელიც ამ პროცესიდან მთლიანად გამორიცხავდა ფონდის მონაწილეობას საწყისშივე მიუღებელი იყო, თუმცა მერია უალტერნატივოდ ითხოვს მეჩეთის გადაცემას მუსლიმთა სამმართველოსთვის, რითაც ფაქტობრივად გამორიცხავს შეთანხმების შესაძლებლობას და აჩვენებს მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის დისკრიმინაციულ ხასიათს. 2019 წლის 30 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ მეჩეთის მშენებლობის საქმეზე ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო და ახალი მეჩეთის მშენებლობაზე ბათუმის მერიის უარი დისკრიმინაციულად და უკანონოდ მიიჩნია. თუმცა, ბათუმის მერიამ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა და კვლავ პროცესის გაჭიანურების და შეფერხების სტრატეგია გამოიყენა. აღნიშნულ საქმეს EMC ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების (TDI) ინსტიტუტთან ერთად აწარმოებს.
- ▶ ქობულეთის პანსიონატის საქმე – მიმდინარე წელს ქობულეთის მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონატის ფუნქციონირება კვლავ ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 მარტის განჩინებით ა(ა)იპ „ქართველ მუსლიმთა ერთობის“, კახა კახაძის, ბადრი ირემაძის და თემურ ხალვაშის, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და დადგინდა, რომ შსს-მ სათანადოდ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური მოვალეობა და ვერ დაიცვა მუსლიმი თემის უფლებები. აღნიშნულის მიუხედავად, ადგილობრივ მართლმადიდებლურ თემს მიკუთვნებული მოსახლეობა მუსლიმ თემს კვლავ არ აძლევს პანსიონატის გახსნის შესაძლებლობას და მათ უსაფრთხოებას არც შსს უზრუნველყოფს. განსახილველ საქმეში ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია და შპს „ქობულეთის წყალი“ პანსიონატის შენობას კვლავ არ აერთებს წყალარინების სისტემაზე, რასთან დაკავშირებითაც სახალხო დამცველმა დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა. თუმცა, ქობულეთის მერიამ კვლავ არ უზრუნველყო პანსიონატის დაერთება წყალარინების სისტემაზე, რის გამოც სახალხო დამცველმა სასამართლოს მიმართა და მოითხოვა რეკომენდაციის შესრულება. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სახალხო დამცველის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. კვლავ ღია რჩება პანსიონატის თანამშრომლების მიმართ გამოვლენილი სავარაუდო და-

ნაშაულებრივი ქმედებების შეფასების საკითხი. ბათუმის პროკურატურამ ამ წელსაც არ უზრუნველყო საქმეზე მუსლიმი თემის წევრების დაზარალებულად ცნობა და გამოძიების პროცესში შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულ საქმეზე EMC ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საანგარიშო პერიოდში განაცხადი წარადგინა, სადაც ის კონვენციის მე-3 (დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა) და მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) სავარაუდო დარღვევაზე დავობს.

- ▶ ლგბტქ პირთა დევნის საქმეები – მიმდინარე წელს EMC-იმ ლგბტქ პირთა უფლებების დარღვევის 7 შემთხვევა აწარმოა. საქმეთა დიდ ნაწილში EMC-ის მიმართვის საფუძველზე გამოიკვეთა შეუწყნარებლობის მოტივი და განისაზღვრა დამნაშავე პირები. თუმცა, პოლიციის მხრიდან გამოძიების პროცესის გაუმჯობესების მიუხედავად, რამდენიმე საქმეში მაინც ფიქსირდება ლგბტქ პირთა უფლების დარღვევის შემთხვევებზე სახელმწიფოს შეუსაბამო და არაეფექტური რეაგირების პრაქტიკა. კერძოდ, თ. კ.-სა და ლ.ბ.-ზე თავდასხმის საქმეში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა ამ დრომდე არ უზრუნველყოფს 2017 წლის 25 აგვისტოს, ბათუმში, ლგბტქ თემის წევრების ცემის ფაქტის სათანადო გამოძიებას. მომხდარ შემთხვევაში თემის წევრები უთითებენ, რომ ტრანს/ჰომოფობიური მოტივით მათ მოქალაქეებმა მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც აღქმადი იყო ადგილზე მყოფი პოლიციის თანამშრომლებისთვის, რომლებმაც უმოქმედობა გამოავლინეს და განცდილი ძალადობის მიუხედავად თავად თემის წევრები ადმინისტრაციული წესით დააკავეს. ამავე საქმეში თემის წევრები უთითებენ, რომ პოლიციის თანამშრომლებმაც ჰომოფობიურ ნიადაგზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება მიმდინარეობს თემის წევრების მიმართ მოქალაქეთა მხრიდან გამოვლენილი ქმედებისა და პოლიციის თანამშრომელთა ქმედების შეფასების მიზნითაც, რაიმე სამართლებრივი შედეგი ამ დრომდე არ დამდგარა და პოლიციის თანამშრომლების წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების პროცესში თემის წევრები დაზარალებულადაც კი არ არიან ცნობილები. სახელმწიფოს მხრიდან ლგბტქ თემის წევრების უფლებების შეზღუდვის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს 2018 წლის 29 სექტემბერს სათემო ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ ოფისზე თავდასხმა, რა დროსაც ოფისის მეზობლად მცხოვრებმა მამაკაცმა ჰომოფობიური მოტივით სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თემის ოთხ წევრს. გამოძიების დაწყებიდან დაახლოებით 8 თვის შემდგომ თბილისის პროკურატურამ საქმეში მონაწილე ყველა პირს, მათ შორის თემის წევრებს წაუყენა ბრალი. პროკურატურა თემის წევრებისათვის ბრალის წაყენების მოტივად ასახელებდა იმ გარემოებას, რომ თავდამსხმელ მამაკაც ტვინის შერყევა ჰქონდა მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ არ დასტურდებოდა თემის წევრების ქმედებამ გამოიწვია თუ არა ეს ზიანი. პროკურატურის აღნიშნულ გადაწყვეტილებას თემის წევრების მიმართ თან ახლდა უამრავი შემზღუდავი ეფექტი, მათ შორის საქართველოს ფარგლების დატოვების შეუძლებლობა მაქსიმუმ ორი წლის ვადით და სამომავლოდ მიკერძოებული სასამართლოს პირობებში ნასამართლობის მიღების პერსპექტივა, რამაც თემის წევრები აიძულა უარი ეთქვათ სამართლებრივ დავაზე და მიეღოთ გადაწყვეტილება განრიდების გამოყენების თაობაზე. პროკურატურის მხრიდან საქმეში მონაწილე ყველა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების პრაქტიკა გარდა იმისა, რომ სამართლებრივ პრობლემას წარმოშობს, აჩვენებს სახელმწიფოს პოლიტიკას სამომავლოდ სასჯელის შიშით ლგბტქ თემის წევრებმა უარი თქვან სამართლებრივი გზით უფლების დაცვაზე.

ფორუმი „სოციალური სამართლიანობა კრიზისის დროს“ 1-5 მაისი, თბილისი


2019 წლის 1-5 მაისს, თბილისში, გაიმართა ფორუმი „სოციალური სამართლიანობა კრიზისის დროს“, რომელიც მიზნად ისახავდა მსოფლიო რუკაზე საქართველოს ადგილის ანტიიმპერიალისტური გადმოსახედიდან გაანალიზებას. პოსტ-საბჭოთა საქართველოს მიერ გამოვლილი ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციების გააზრება საჭიროებს ისეთ განსხვავებულ ცნებებსა და საკითხებზე მსჯელობას, როგორებიცაა ნეოლიბერალური გლობალიზაცია, იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი, გლობალური სამხრეთი, ფინანსური კაპიტალიზმი და „დიდი ტრანსფორმაციები“. ფორუმზე მსჯელობა მიმდინარეობდა შემდეგ საკითხებზე:

- ▶ როგორი სახელმწიფო და საზოგადოება გვინდა რომ გვქონდეს?
- ▶ რა შედეგები მოჰყვა საქართველოს გადასვლას საბაზრო ეკონომიკაზე და მის ჩართვას ნეოლიბერალური გლობალიზაციის პროცესში?
- ▶ რა ხარვეზები აქვს დღევანდელ განვითარების პოლიტიკას?
- ▶ როგორ შევქმნათ ნეოკოლონიური ნარატივებისგან თავისუფალი სააზროვნო სივრცე?

ფორუმის საპატიო მომხსენებლებს

შორის იყვნენ:

- ▶ ინდოელი ეკონომისტი პრაბჰატ პატნაიკი (Prabhat Patnaik),
- ▶ ბერძენი ეკონომისტი და პოლიტიკოსი კოსტას ლაპავიტასი (Costas Lapavistas),
- ▶ ქართველი მწერალი ნაირა გელაშვილი,
- ▶ ინდოელი პოლიტოლოგი ნივედიტა მენონი (Nivedita Menon),
- ▶ ბრიტანელი სოციოლოგი მაიკლ ბურავოი (Michael Burawoy),
- ▶ ფილოსოფოსი გიორგი მაისურაძე,
- ▶ პროფესორი მარინა მუსხელიშვილი.



ბლოგების სერია

გამოქვეყნებული ბლოგები:

- ▶ ლუკა ნახუცრიშვილი „სვეტლანა ალექსიევიჩი: საქართველოს ალაგის ძიებაში I“
- ▶ ლუკა ნახუცრიშვილი „მერაბ მამარდაშვილი: საქართველოს ალაგის ძიებაში II“
- ▶ თამთა ხალვაში „პოსტსოციალისტური ქალაქი: დეკოლონიზაციის ძიებაში“
- ▶ შოთა პაპავა „ბერლინის წინააღმდეგ: ევროცენტრიზმი და პროგრესული რასიზმი“
- ▶ ზაალ ანდრონიკაშვილი „(სხვა) საქართველო სად არის?“ როგორ მოვეყვით საქართველოს თანამედროვე ისტორია?“
- ▶ ირინე ბერიძე „ცხრა მთას იქით“
- ▶ ანა დიაკონიძე „შრომა პერიფერიაში: შემქნელები vs. შემსრულებლები“
- ▶ ლელა რეხვიაშვილი „სამოქალაქო საზოგადოება, პოლიტიკური საზოგადოება და კონტრპეგემონია“
- ▶ მათე გაბიციანაშვილი „ვაჭრობა, ინტერესი და იდეოლოგია“

თარგმანების სერია

გლობალური ჩრდილოეთით დომინირებულ სამყაროში თითქმის უხილავი რჩება ის მნიშვნელოვანი კვალი, რომელსაც გლობალური სამხრეთი ტოვებს თანამედროვე კრიტიკული აზროვნების თვალსაზრისით. გლობალური სამხრეთი არ არის გეოგრაფიული მდებარეობა. ეს არის ცნება, რომელიც ხაზს უსვამს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ეპისტემურ დაქვემდებარებას და იმ უთანასწორო ურთიერთობებს, რომელსაც ეფუძნება გლობალური წესრიგი. ამ გარემოების გათვალისწინებით, ქართულ ენაზე ითარგმნა საქართველოს სამეცნიერო წრეებში და უნივერსიტეტებში უგულვებელყოფილი სამხრეთელი ავტორების ნაშრომები, რომლებიც აღწერენ მიწიდან და-ნახულ სამყაროს. თარგმანები პერიოდულად ქვეყნდებოდა EMC-ს ვებგვერდზე, წლის ბოლოს კი გამოიცა პუბლიკაციის სახით.



2019 წელი ციფრებში

2019 წლის — წარმატებული საქმეების რაოდენობა — 25



სტრატეგიული სამართალწარმოება

2	66	12	4	15	2
საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოებული საქმე	საერთო სასა- მართლოებში მიმდინარე საქ- მეები	ადმინისტრაცი- ულ ორგანოებ- ში წარმოებული დავები	ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმოებული საქმეები	სისხლის სამართლის საქმე საგამოძიებო ორგანოების წინაშე	სახალხო დამცველი, როგორც თანასწორობის მექანიზმი, წარმოებული საქმეების რაოდენობა



პუბლიკაციები

8	3	26	4	1
კვლევა	პრაქტიკული სახელმძღვანელო	ანალიტიკური დოკუმენტი	თარგმანების კრებული	სტატიების კრებული



საჯარო ღონისძიებები

48

საჯარო დისკუსია, პრეზენტაცია/ფორუმი, ტრენინგი ვორქშოფი



თვალსაზრისები/პულტიმედია

41	22	12	34	12
ბლოგი	თარგმანი	სტატია	ვიდეო	ინფოგრაფიკა

EMC-ს გამოცემები (სექტემბერი, 2018 – დეკემბერი, 2019)



შრომითი მედიაციის სამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევა კვლევის სამართლებრივი ნაწილი მიზნად ისახავს, გამოავლინოს მედიაციის მექანიზმის საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები და გაცნოს ამ მიმართულებით არსებულ საერთაშორისო პრაქტიკას. ხოლო სოციოლოგიური ნაწილი სწავლობს შრომით მედიაციასთან დაკავშირებით არსებულ პროცედურულ თუ აღსრულებით ხარვეზებს, ასევე ისეთ გამოწვევებს რომელიც უკავშირდება მედიაციის მექანიზმის შრომის პოლიტიკასთან ინტეგრირების საკითხს.



პესების მშენებლობა სვანეთში და მისი ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე კვლევაში, ნენსკა ჰესისა და ხუდონ ჰესის მაგალითზე, მიმოხილულია პესების მშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები და ხარვეზები.



სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემაში

ანგარიში მიზნად ისახავს, შეაფასოს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში.



სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება

ანგარიში აღწერს და აფასებს ე.წ. „მესამე ტალღის“ რეფორმის შედეგად სასამართლო სისტემაში დანერგილ ორ სიახლეს: საქმეთა ელექტრონულად განაწილების პროგრამასა და დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის ამოქმედების პირობებში, მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესს.



ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავი ორგანოებში

კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზმა გამოკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რაც სამართალდამცავი ორგანოების ოპერატიულ საქმიანობას ახლავს. ოპერატიული საქმიანობა არ შეესაბამება საპოლიციო საქმიანობის დემოკრატიულ მექანიზმებს და საფრთხეს უქმნის ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას.



მოსამართლის როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში

კვლევა მიზნად ისახავდა მოსამართლის როლთან დაკავშირებით იმ საკითხების გამოვლენას, რომლებსაც მნიშვნელოვნად მიიჩნევენ პროფესიული ჯგუფები (მოსამართლეები და ადვოკატები) სამართლიანი, მიუკერძოებელი და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად.



არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში

კვლევა, ორგანიზაციის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზზე დაყრდნობით, მიმოხილავს პოლიციის საქმიანობაში არასათანადო მოპყრობის განმაპირობებელ საკანონმდებლო და ოპერაციულ ფაქტორებს. კვლევაში დასმულ პრობლემურ საკითხებთან მიმართებით, დოკუმენტი მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებსა და რამდენიმე ქვეყნის კარგი პრაქტიკის მიდგომებს.



ნარკოპოლიტიკა საქართველოში (შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები)

კვლევაში მიმოხილულია ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოლიტიკის, საკანონმდებლო ჩარჩოს და სისხლის სამართლებრივი პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები.



ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა

სახელმძღვანელოს მიზანია, ხელი შეუწყოს ეთნიკური/ეროვნული უმცირესობების უფლებების და ამ კუთხით სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ ცოდნის გაძლიერებას/ამაღლებას საზოგადოებაში, ამ თემაზე მომუშავე ორგანიზაციებს, იურისტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის, ასევე აღნიშნული უფლებების მქონე სუბიექტებს შორის.



საცხოვრისის უფლება (საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა)

სახელმძღვანელოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან ერთად, ევროპული სოციალური ქარტიითა და ევროპული კავშირის ძირითად თავისუფლებათა ქარტიით დადგენილი სტანდარტების ჭრილში არის მიმოხილული საცხოვრისის უფლების სხვადასხვა ასპექტი და სახელმწიფოს მიერ გასატარებელი პოლიტიკის გარკვეული კომპონენტები.



შრომითი უფლებები (საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა)

სახელმძღვანელოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან ერთად, ევროპული სოციალური ქარტიითა და ევროპული კავშირის ძირითად თავისუფლებათა ქარტიით დადგენილი სტანდარტების ჭრილში არის მიმოხილული შრომითი უფლებების სხვადასხვა ასპექტი და სახელმწიფოს მიერ გასატარებელი პოლიტიკის გარკვეული კომპონენტები.



თარგმანების კრებული

თარგმანების კრებული მომზადებულია სექსობრივი განათლების შვედური ორგანიზაციის (RFSU) სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის პროგრამის (2018-2020) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.



თარგმანების კრებული

თარგმანების კრებული მომზადებულია „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „აქტივისტური რეზიდენცია ქვიარ ინტერვენციისთვის“.



„სამხრეთი არსებობს“ – ნაწილი 1 „სამხრეთი არსებობს“ – ნაწილი 2

გლობალური ჩრდილოეთით დომინირებულ სამყაროში თითქმის უხილავი რჩება ის მნიშვნელოვანი კვალი, რომელსაც გლობალური სამხრეთი ტოვებს თანამედროვე კრიტიკული აზროვნების თვალსაზრისით. გლობალური სამხრეთი არ არის გეოგრაფიული მდებარეობა. ეს არის ცნება, რომელიც ხაზს უსვამს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ეპისტემურ დაქვემდებარებას და იმ უთანასწორო ურთიერთობებს, რომელსაც ეფუძნება გლობალური წესრიგი. ამ გარემოების გათვალისწინებით, ქართულ ენაზე ითარგმნა საქართველოს სამეცნიერო წრეებში და უნივერსიტეტებში უგულვებელყოფილი სამხრეთელი ავტორების ნაშრომები, რომლებიც აღწერენ მიჭინდან დანახულ სამყაროს.



თარგმანების კრებული

კრებულის მიზანია ხელი შეუწყოს რეპროდუქციისა და სექსუალობის, ისევე როგორც, მასთან მომიჯნავე საკითხების ხელახალ გააზრებას, წინააღმდეგობისა და ემანსიპაციის ახალი გზების ძიებას. აღნიშნული კი პირველ რიგში გულისხმობს SRHR-ის ჩარჩო კონცეფციასთან არსებული მიდგომების ანალიზს კრიტიკული აკადემიური/თეორიული პერსპექტივებით.



იდენტობის პრობლემატიკა ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებში და მისი პოლიტიკური და სოციალური განზომილებები
წინამდებარე დოკუმენტი პირველადი კვლევის შედეგებზე დაფუძნებით მომზადდა და მისი მიზანია, პოლიტიკურ პარტიებში და აგრეთვე, პოლიტიკის სფეროში მომუშავე სხვადასხვა ინსტიტუციაში გაზარდოს ცოდნა საქართველოში აზერბაიჯანული თემის ინტეგრაციის პრობლემატიკაზე.



ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე - საკანონმდებლო ხარვეზები და პოლიტიკის გამოწვევები
წინამდებარე დოკუმენტი მრავალდისციპლინარული მიდგომის გამოყენებით ცდილობს ლგბტ ჯგუფის წევრების მიმართ ჩადენილი ჰომო/ბი/ტრანსფობიური ოჯახური დანაშაულების წარმოჩენას და მის აღმოსაფხვრელად ერთიანი მიდგომის შემუშავებას.



რელიგიური უმცირესობების დაცვა
წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წწ. სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, რომლებიც ეხება რელიგიური უმცირესობების უფლებებს.




უფლება სათანადო საცხოვრებელზე - ძირითადი გამოწვევების ანალიზი
წინამდებარე კვლევის მიზანია, მიმოიხილოს სათანადო საცხოვრებლის უფლების საერთაშორისო სტანდარტები, კარგი პრაქტიკა და ასევე უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული გამოწვევები.



უსაფრთხოების მგერის ქვეშ: ისტორია, პოლიტიკა და რელიგია პანკისის ხეობაში
წინამდებარე კვლევის მიზანია პანკისის ხეობის პოლიტიკურ ეპიცენტრად ჩამოყალიბების პროცესის ანალიზი ისტორიული გარემოებების, ძალაუფლებრივი კონფიგურაციებისა და გაბატონებული დისკურსების ურთიერთმიმართების კონტექსტში.




სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა
ანგარიშში წარმოდგენილია, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმ აქტივობების შესრულების შეფასება



ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში
წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წწ. სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, რომლებიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს, ბავშვთა უფლებებს, გენდერულ თანასწორობას და ქალთა უფლებებს

EMC წევრია შემდეგი კოალიციების



კოალიცია თანასწორობისთვის

„კოალიცია თანასწორობისთვის“ არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღების პროცესში შეიქმნა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ხელშეწყობით და შვიდ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის მიზანია ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მანდატის გაძლიერება და დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშეწყობა. აგრეთვე, სხვადასხვა ჯგუფებისთვის სამართლებრივი დახმარებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების პროგრამების უზრუნველყოფის გარდა, წევრი ორგანიზაციები ყოველწლიურად ამონიტორინგებენ თანასწორობის მექანიზმების საქმიანობას და შესაბამის უწყებებს წარუდგენენ რეკომენდაციებს. წევრი ორგანიზაციები ინტენსიურად არიან ჩართული ადვოკატირების პროცესში როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე, აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან და ცნობიერების ამაღლების მიზნით ახორციელებენ სხვადასხვა კამპანიას. EMC 2016-2017 წლებში კოალიციის თავმჯდომარე ორგანიზაცია იყო.



კოალიცია

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის 2011 წელს შეიქმნა და აერთიანებს სასამართლოს, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს.

კოალიციის მიზანია კვლევის, ადვოკატირების, საჯარო დისკუსიების გზით ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების სექტორში არსებული მწვავე პრობლემების აქტუალიზებას, ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებას და დამოუკიდებელი და ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა EMC კოალიციას 2013 წელს შეუერთდა და მას შემდეგ, არის კოალიციის მმართველი კომიტეტის აქტიური წევრი, რომელიც უძღვება კოალიციის საქმიანობას. EMC კოალიციის ფარგლებში შემუშავებული არაერთი ანგარიშის, კვლევის და მიმოხილვის თანაავტორია. კოალიციასთან თანამშრომლობით EMC-იმ მოახერხა დღის წესრიგში დაეყენებინა სამართალდამცავ ორგანოებში რეფორმის აუცილებლობა, რაც 2015 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურის გამიჯვნით დასრულდა. ასევე, კოალიციის აქტიური ადვოკატირების შედეგად განხორციელდა სასამართლო სისტემის რეფორმის რამდენიმე ეტაპი.



კამპანია „ეს შენ გეხება“ საზოგადოებრივი ჯგუფების ინიციატივაა, რომელიც 2012 წელს დაიწყო და მიზნად ისახავდა, მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობით, საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლას. კამპანია ხელმეორედ განახლდა 2014 წელს, ამჯერად ფარული მოსმენისა და მიყურადების წინააღმდეგ კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაცვლელად და მასშტაბური უკანონო მოსმენის პრაქტიკის დასასრულებლად.

2014 წლიდან EMC კამპანიის აქტიური წევრი და მხარდამცერია. კამპანია „ეს შენ გეხება“ ძალისხმევის შედეგად, 2016 წელს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ფარული მოსმენა-მიყურადების მარეგულირებელი კანონმდებლობა. კამპანიის ფარგლებში, EMC აქტიურად იყო ჩართული ფარული მიყურადების ახალი სისტემის შექმნის ადვოკატირებაში, ასევე EMC-ის შესაძლებლობა მიეცა დღის წესრიგში დაეყენებინა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეფორმირების საკითხები.



FEANTSA უსახლკარობის საკითხებზე მომუშავე ეროვნული ორგანიზაციების ევროპული ფედერაციაა, რომელიც აერთიანებს ევროპის ქვეყნების იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ფოკუსირდებიან უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ორგანიზაციის მთავარი მიზანია ევროპაში უსახლკარობის დასრულება. FEANTSA დაფუძნდა 1989 წელს და აერთიანებს 130-ზე მეტ წევრ ორგანიზაციას 30 ქვეყნიდან.

EMC როგორც წევრი ორგანიზაცია FEANTSA-ს 2017 წლიდან შეუერთდა.

დონორები და მიმდინარე პროექტები:



შვედური ორგანიზაცია
სექსუალური
განათლებისთვის (RFSU)

1,027,600 GEL

ღებტი პირთა უფლებების
გაძლიერება, სექსუალური
და რეპროდუქციული
ჯანმრთელობის
საკითხების ადვოკატირება
და ქვიარ აქტივისტთა
მხარდაჭერა



ფონდი ღია საზოგადოება
– საქართველო
(OSGF)

47,509.00 USD

სისტემის რეფორმების
ადვოკატირება
სამართალდამცავ
სისტემაში



ევროკავშირი

267,780.82 EUR

მართლმსახულების
რეფორმის ეფექტური
განხორციელების
ხელშეწყობა
მრავალმხრივი
მიდგომებით



ჰოლანდიის
საელჩო

342,900.00 GEL

არა-დომინანტი
რელიგიური ჯგუფების
უფლებების დაცვის
მხარდაჭერა კვლევისა
და მონაწილეობითი
ადვოკატირების გზით



ჰაინრიხ ბოლის ფონდის
სამხრეთ კავკასიის
რეგიონალური ბიურო

86,300.00 GEL

სამთო-მოპოვებითი
ინდუსტრიები და მათი
სოციო-ეკოლოგიური
ასპექტები



ღია საზოგადოების
ფონდი

68,933.00 USD

სოციალური
სამართლიანობა
კრიზისის დროს



ღია საზოგადოების
პოლიტიკის
ცენტრი

279,459.00 USD

ქმედუნარიანობის
ინსტიტუტის დანერგვის
ხელშეწყობა
საქართველოში



ფონდი ღია საზოგადოება
– საქართველო
(OSGF)

75,000.00 USD

სისტემური რეფორმების
ხელშეწყობა
სამართალდამცავ
ორგანოებში



ფონდი ღია საზოგადოება
– საქართველო
(OSGF)

25,000.00 USD

ქვემო ქართლსა და
პანკისში ადგილობრივი
აქტივისტების კრიტიკული
პოლიტიკური ცოდნისა
და მონაწილეობის
მხარდაჭერა“



ფონდი ღია საზოგადოება
– საქართველო
(OSGF)

19,999.78 USD

ქვიარ პოლიტიკის
გაძლიერების
ხელშეწყობა
აქტივისტური სადისკუსიო
სივრცის განვითარების
გზით



ფონდი ღია საზოგადოება
– საქართველო
(OSGF)

15,000.00 USD

თანასწორი გარემოს
ხელშეწყობა,
ანტიდისკრიმინაციული
მექანიზმის გამოყენებით



მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი,
საქართველო

ტელ.: +995 032 2 233706

www.emc.org.ge

info@emc.org.ge

<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

ყდაზე გამოყენებულია დათო ფარულავას (OC Media) ფოტო

EMC